საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი-ოთხშაბათი, 25-26 აგვისტო. 2020 წ. №105 (9031) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

„მე რომ მესვრით, ის კაცები არ ხართ, იქვე წუპაკო მამაძაღლებო“!

3

უშედეგობით მოსული უიმედობა

ვიდრე პუტინი ცოცხალია, ნატოს „ღია კარი“ სულ დაკეტილი გვექნება!

8

ყინულ-მჭრელი ლექსები,

7

ანუ „ავად ვარ, როცა არაფერი მტკივა, როცა ყველაფერი მტკივა - კარგად ვარ!“

ვეცადოთ, რომ როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული

5

ნამგლები ალესილია, უროები გამოჭედილია, მეცხრე ტალღასღა ველით!

პარასკევ საღამოს ტელეარხ „ფორმულას“ ეკრანით, რა თქმა უნდა, ვახო სანაიამაც ჩაატარა საჩვენებელი საგამოძიებო „ექსპერიმენტი“ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმეზე, უფროსი მეგობრისა და ჟურნალისტიკის მანათობელი ვარსკვლავის ნიკა გვარამიას მიბაძვით. მან ამ გვარამაულით, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერი დაამტკიცა ბუნდოვანი მომენტების „გასაიასნებლად“, თუმცა ბევრიც მოინდომა და საეთერო დროც დიდი გაქანებითა და მონდომებით ფლანგა, მაგრამ ეს კი უტყუარია: იმ საღამომ თვალნათლივ წარმოაჩინა ამ გახმაურებული საგამოძიებო საქმის მონაწილე ადვოკატების თავზარდამცემი უსუსურობა, რაც მთავარია, კლიენტების დაცვის ქვის ხანის დროინდელი ტაქტიკა და სტრატეგია.

და სრულიად ბუნებრივად გამახსენდა ჩვენი დიდებული თანამემამულე, რუსეთის იმპერიის ადვოკატთა კორპუსის მშვენება **ლუარსაბ ანდრონიკაშვილი** (სხვათა შორის, გამოჩენილი ფიზიკოსის, აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილისა და ცნობილი რუსულენოვანი მწერლისა და ლიტერატურული მკვლევარის ირაკლი ანდრონიკოვის მამა), პეტერბურგსა და გერმანიაში განსწავლული იურისტი, რომელიც ისტორიული მნიშვნელობის 100-ზე მეტ პოლიტიკურ სასამართლო პროცესში მონაწილეობდა, იცავდა უმძიმეს „ფიგურანტებს“: შეიარაღებული აჯანყებებისა და დემონსტრაციების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, რევოლუციონერ ტერორისტებს, უბრალო ადამიანებს. იყო „პოლიტიკურ დამცველთა“ ჯგუფის შექმნის ინიციატორი.

იხ. 4 გვ.

გლოვის დღე:

განუზომელია ერის მწუხარება და ტკივილი!

დიდია ჩვენი მწუხარება ხევსურეთში, სოფელ ბისოსთან, ა.წ. 23 აგვისტოს მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის გამო, რომელსაც 17 ადამიანი ემსხვერპლა და რომელმაც მთელი საქართველო შეძრა. გვინდა ყველა ოჯახს გამოვუცხადოთ სამძიმარი და, მიუხედავად ასეთი მძიმე განსაცდელისა, ვუთხრათ, რომ უნუგეშობას არ უნდა მიეცნენ. ღმერთმა ყველა განგამტკიცოთ და მოგმადლოთ ურყევი რწმენა მარადიული ჭეშმარიტი ცხოვრებისა, რომლის მკვიდრნიც ჩვენი შვილები, — ახლადგარდაცვალებულნი გუშინ გახდნენ. აღვავლენთ ლოცვებს მათი უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს ისინი, ხოლო დაშავებულთ შეეწიოს და გადაარჩინოს!

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ შატილის გზაზე მომხდარი საშინელი ტრაგედიის გამო. გულწრფელად ვუსამძიმრებ გარდაცვლილთა ოჯახებსა და ახლობლებს!

სალომე ზურაბიშვილი

შემძრა შატილში დატრიალებულმა ტრაგედიამ. განუზომელია ჩვენი მოქალაქეების დაღუპვით გამოწვეული მწუხარება და ტკივილი. ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს და მთელ საქართველოს!

ბიძინა ივანიშვილი

უდიდეს მწუხარებას გამოვთქვამ შატილის გზაზე მომხდარი შემზარავი ტრაგედიის გამო, რომელსაც ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლე ემსხვერპლა, არიან დაშავებულები.

თანავუგრძნობ დაღუპულების ოჯახებსა და ახლობლებს. ინტენსიურად მიმდინარეობს სამძებრო-სამაშველო ღონისძიებები. ჩვენი ექიმები თავდაუზოგავად იბრძვიან დაშავებულების სიცოცხლისთვის და იმედს გამოვთქვამ, რომ შევძლებთ მათ გადარჩენას.

გიორგი გახარია

შატილის გზაზე მომხდარი ტრაგედიისას დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, 25 აგვისტო საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადდა.

შესაბამის განკარგულებას პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მოაწერა ხელი.

განკარგულების თანახმად, გლოვის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე სახელმწიფო დროშა დაეშვება.

შატილის გზაზე ავარიის შედეგად 17 ადამიანი გარდაიცვალა, სამის მდგომარეობა კი უკიდურესად მძიმეა.

სამგზავრო მიკროავტობუსი, დაახლოებით, 80 მეტრის სიმაღლიდან კლდოვან ფერდობზე გადავარდა.

* * *

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია უერთდება დიდ ეროვნულ მწუხარებას შატილის გზაზე მომხდარი ტრაგედიის გამო.

მირიან ნიკოლაძე:

„ნაციონალური მოძრაობა“ და ნიკა გვარამია ჭკვიანად იყვნენ, ძლივს ვაკავებ ხალხს

„ერთ დაძახებაზე ქვეყანას დავაძცევთ!“ — ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმეზე, შესაძლოა გაჩნდეს დაპირისპირების ახალი კერა, რომელშიც უკვე 19 წლის მოზარდის ბიძა მირიან ნიკოლაძე და „მთავარი არხის“ დამფუძნებელი ნიკა გვარამია კი არა, გარდაცვლილის ოჯახის გულშემატკივრებიც აღმოჩნდებიან. მოთმინების ფიალა ეწურებათ გიორგი შაქარაშვილის მშობლებსაც....

„ძლივს ვაკავებ ხალხს“, — ამბობს ოჯახის ადვოკატი მირიან ნიკოლაძე და „მთავარი არხის“ დირექტორს ნიკა გვარამიას „დამნაშავეების“ ოჯახების ამხედრებასა და დაპირისპირების ინსპირაციაში ადანაშაულებს.

მირიან ნიკოლაძე: რა თქმა უნდა, ნიკა გვარამიამ მიზანმიმართულად დაიწყო კამპანია, რომ გამოძიების შედეგს ხაზი გადაესვას და ხალხმა არ დაიჯეროს ოფიციალური ვერსია. სხვა გამოსავალი არ დარჩათ. ნახეს, რომ მათი სატელევიზიო შოუები აღმოჩნდა ბუტაფორია, არასერიოზული. ჩვენ ამას ყველგან ვუყურებთ ტელევიზიაშიც, სოციალურ ქსელებშიც. ხალხი დასცინის მათ და ახლა ეს დაცინვის წნეხი რომ მოხსნან, გადავიდნენ იმაზე, რომ დამნაშავეების ოჯახს ამხედრებენ.

თუ ამხედრებაზე წავიდა საქმე, მე ხალხს ძლივს ვაკავებ. რომ არ ვიცოდეთ, **ეს პროცესები „მთავარი არხის“ ინსპირირებულია, ოჯახი ბევრად რადიკალურები** ვიქნებოდით, მაგრამ ვიცით, რომ ესენი აკეთებენ, თავს ვიკავებთ. ხალხზე არ მიდგეს საქმე, თორემ...

— ვის აკავებთ, ვის გულისხმობთ, ვინ ხალხს?

— ვის ვაკავებთ და მილიონი ადამიანი რეკავს ოჯახში — დედასთან, მამასთან. უდიდესი წრეა საგულშემატკივროდ. **ასიათასობით კაცი გვწერს,** გვირეკავს, რომ გვერდში დაგიდგებით, ოღონდ დაგვიძახეთო, **ერთ დაძახებაზე ქვეყანასაც ფეხზე დავაყენებთო!..** ყველას ვეუბნებით, რომ დამშვიდნენ და სამართლებრივ რეჟიმში დაელოდონ მოვლენათა განვითარებას...

— ანუ გვარამიას ეს პოლიტიკა აღიაზიანებს იმ ადამიანებს, რომლებიც გიორგის ოჯახის ახლობლები არიან და გიორგის გარდაცვალებაზე გული შესტკივათ?

— რა თქმა უნდა, გუშინ პირადად გიორგის მშობლებმა დამირეკეს და მითხრეს, ნუ გაგვხდიან იძულებულებს, რომ ამ ხალხს დახმარებისთვის მივმართოთო. საქმე ისაა, გვარამიასა და „ნაციონალურ მოძრაობას“ უნდა, დაპირისპირების კერა შეიქმნას და თემის პოლიტიზირება მოხდეს. ამას არ ვაკეთებთ და ჭკვიანად იყვნენ...

ანა ქორჩილავა

დისონანსი, რომელიც გიორგი ვაშაძემ შემოიტანა ამ ერთობაში, გამოსწორებას მოითხოვს

თუ ვინმემ დაარღვია ის შეთანხმება, რომელიც „ლეიბორისტების“ ოფისში გაფორმდა, დაარღვია ჩემთან მიმართებაში. მე ამას არ ვთვლი პრობლემად, ჩემი გადასახედიდან, თუმცა ის დისონანსი, რომელიც გიორგი ვაშაძემ შემოიტანა ამ ერთობაში, მოითხოვს გამოსწორებას, — ამის შესახებ „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა. გამოასწორებს თუ არა მდგომარეობას თაკო ჩარკვიანის კანდიდატურის მოხსნა, ოქრუაშვილი პასუხობს, რომ ბევრი სხვადასხვა ვერსიის განხილვაა შესაძლებელი.

„არა, შესაძლოა გიორგი ვაშაძემ მისი ნომრით არ დააყენოს თაკო ჩარკვიანი და ესეც განვიხილოთ. ძალიან ბევრი ვერსია შეგვიძლია განვიხილოთ. მე ამას პრობლემად არ ვთვლი გიორგი ვაშაძის მიმართ, მაგრამ თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია გააჩნია გიორგი ვაშაძის მიმართ, ამ პრეტენზიას გარკვეული საფუძველიც აქვს“, — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

გიორგი ვაშაძე ოპოზიციას არ დაპირისპირებიაო

არ შეიძლება ითქვას, რომ კოალიცია „სტრატეგია აღმაშენებელის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე სხვა ოპოზიციურ პარტიებს დაუპირისპირდა. ოპოზიციაში განხეთქილების დრო არ არის, ამის შესახებ „2020 NEWS“-თან „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა სერგი კაპანაძემ განაცხადა. მისივე თქმით, შეთანხმება, რომელიც დაიდო ისანში, ვაშაძის მაჟორიტარობის კანდიდატურასთან დაკავშირებით, ძალაში რჩება.

შეგახსენებთ, „ნაციონალური მოაობა“ „სტრატეგია აღმაშენებელის“ ლიდერს გიორგი ვაშაძეს შეთანხმების დარღვევაში ადანაშაულებს და ისანში პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ხატია დეკანოიძის კანდიდატურის დაყენებას გეგმავს. თუმცა, „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი წევრის თინათინ ბოკუჩავას განცხადებით, ისნის სამაჟორიტარო ოლქში კანდიდატურის დაყენებასთან დაკავშირებით, მის პარტიას საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

გია აბაშიძე: „დეკლარაციობანა“ ფანჩატურელებისა და მათი მიმდევრების გარდა არავის აინტერესებს

ნათელაშვილის ფანჩატურის „გაერთიანებულმა ნაცებმა“ ამჯერად ერთ-ერთი სასტუმროს ჭერქვეშ ხელი მოაწერეს დეკლარაციას ე.წ. ხმების დაცვასთან დაკავშირებით. საგულისხმოა ის უტყუარი, არსებული მოცემულობა, რომ არაერთი კვლევითა და საზოგადოების აშკარა განწყობებით, „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად გაიმარჯვებს 31 ოქტომბერს და ყოველგვარი კოალიციის გარეშე ჩამოაყალიბებს მთავრობას“, — ამის შესახებ ანალიტიკოსი გია აბაშიძე სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, 2012 წლიდან მოყოლებული „ქართულმა ოცნებამ“ ყველა დონის არჩევნები მოიგო და ეს არაერთხელ საჯაროდ აღიარეს ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა.

ძალიან გთხოვთ, დავიცვათ ყველა საჭირო რეკომენდაცია!

საქართველოში ეპიდსიტუაცია სრულად მართვადია, ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა. მის კომენტარს პრესსამსახური ავრცელებს.

მისი თქმით, მიუხედავად ამისა, დამშვიდების საფუძველი არ გვაქვს, რადგან მთლიანად რეგიონში, ასევე მსოფლიოში, სიტუაცია არასახარბიელოა.

„რა თქმა უნდა, ჩვენთან შეზღუდვები თითქმის სრულად არის მოხსნილი, უფრო ინტენსიურია მოძრაობა უცხო ქვეყნებთან. ასევე — შიდა მობილობა სერიოზულად გაზრდილია, რაც ინფექციის გავრცელების მომატებულ რისკთან არის დაკავშირებული, რადგან ქვეყანაში ცირკულირებს ინფექცია. მოეშვა მოსახლეობა და ამიტომ, ძალიან გთხოვთ, დავიცვათ ყველა ღონისძიება — პირველ რიგში, ძალიან მარტივი პროფილაქტიკური ღონისძიება — პირბადე — ყველამ უნდა ვატაროთ დახურულ შენობებში. სასურველია, ასევე ვატაროთ პირბადე, როდესაც შენობის გარეთ, ჯგუფურად ვიკრიბებით რამდენიმე ათეული ადამიანი. ძალიან ბევრ ქვეყანაში პირბადეს ქუჩებშიც ატარებენ.

მეორე — დისტანციის დაცვა, მეტრი, მეტრნახევარი. ყველაზე უკეთესია — ორმეტრიანი დისტანციის დაცვა. ასევე — პირადი ჰიგიენის დაცვა, ხელების დაბანა, რასაც დაწესებულებების უმრავლესობაში იცავენ, თუმცა თუ ხშირად არ შევახსენეთ ეს წესები მოსახლეობას, მაინც მივიწყებას მიეცემა, როგორიცაა მაგალითად პირბადის შემთხვევაში.

ასე არ შეიძლება, კოვიდი არსად არ გამქრალა, ის ჩვენთან ერთად არის. ვირუსი ქვეყანაში ცირკულირებს და არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ ფართომასშტაბიან ეპიდემიაში გადაიზარდოს“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

სტიქია დასავლეთ საქართველოში

ბათუმში წყალდიდობის შედეგად მიყენებულ ზარალს ითვლიან. მერის მოვალეობის შემსრულებლის არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, სტიქიის შედეგად წყალი შევიდა 30-მდე საცხოვრებელ სახლში, 11 ადგილზე განვითარდა მეწყრული პროცესი, ოთხი ოჯახი კი, გადაყვანილია ალტერნატიულ საცხოვრებელში.

ასევე, ორ ლოკაციაზე დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, ერთ შემთხვევაში ჩამოინგრა სახურავი, მეორეგან კი, შენობის კონსტრუქცია. შემთხვევების შედეგად არავინ დაშავებულა.

„მერია შეისწავლის ყველა დაზარალებული ოჯახის მდგომარეობას და გაუწევს შესაბამის დახმარებას. ამ დროისთვის, ქალაქში მიმდინარეობს მორეცხვითი სამუშაოები, ქალაქში მოძრაობა გუშინ საღამოდან ყველა მიმართულებით შეუფერხებლად ხორციელდება, მერიის სამსახურები კვლავ საგანგებო რეჟიმში მუშაობენ“, — განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

* * *

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს. **გრძელდება მიყენებული ზარალის აღრიცხვა,** — ამის შესახებ ინფორმაციას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, მხარის რწმუნებული ზვიად შალამბერიძე არსებულ ვითარებას ადგილზე ეცნობა. მოსული უხვი ნალექის შედეგად, ქალაქ წყალტუბოში, ვაზნარის ღელის ადიდების გამო დაიტბორა 21 საცხოვრებელი სახლი, პირველადი მონაცემებით წვიმამ მუნიციპალიტეტში დააზარალა 120-ზე მეტი ოჯახი, როგორც ქალაქში, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში. **სტიქიის გამო რთული მდგომარეობაა სოფლების: რიონის, სორმონის, ნოღის, ზარათი-მეჩერის, გუმათის, ჯიმასტაროს, ჟონეთის, დღნორისის, საჩხეურის, ოფურჩხეთის, ქვილიშორის, ხომულის, ჩუნეშის, ცხუნკურის, სოფელ წყალტუბოს შიდა სასოფლო გზებზე, მეწყერი ჩამოწვა სოფელ ნოღასა და სორმონში, მობილიზებულია ტექნიკა და მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები. მეწყერმა დააზარალა სოფელ ქვილიშორის მოსახლება.**

მოძრაობა აღდგენილია ქუთაისი- ალპანა-მამისონის დამაკავშირებლ ცენტრალურ გზაზე. ძლიერი ნალექის გამო ქუთაისში ბევრ ქუჩაზე შეიქმნა პრობლემები. ბევრ ქუჩაზე ჩამოტანილია ხრეში. დაზიანდა სადგურ რიონისა და ახალგაზრდობის გამზირის დამაკავშირებელი კიბე. გადაუღებელმა წვიმამ თერჯოლაში შიდა საუბნო გზები დაზიანა, რამდენიმე სოფელს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა, რომელიც ამ დროისთვის უკვე აღდგენილია.

უხვმა ნალექმა პრობლემები შექმნა ტყიბულსა და ხარაგაულშიც. დაიტბორა რამდენიმე ოჯახის საცხოვრებელი სახლები, დაზიანდა გზები. შედარებით ნაკლებად დაზარალდა ჭიათურა, სადაც ძლიერმა წვიმამ სამ სოფელში სამი საუბნო გზა გადარიცხა.

უკანონოდ დაკავებულმა ხვიჩა მღებრიშვილმა „დანაშაული აღიარა“

საოკუპაციო რეჟიმის მიერ უკანონოდ დაკავებულმა ხვიჩა მღებრიშვილმა **„დანაშაული აღიარა და სასამართლოს ჰუმანურობისთვის მადლობა გადაუხადა“.** ამის შესახებ განცხადებას ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. უზენაესი სასამართლო ავრცელებს და მღებრიშვილისთვის 3-თვიანი პატიმრობის შეფარდების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.

„ცხინვალის რაიონულმა სასამართლომ მღებრიშვილი სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთაში ბრალდებულად ცნო და 3-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა. მღებრიშვილმა დანაშაული აღიარა,“ — აღნიშნულია დეფაქტო რეჟიმის ე.წ. უზენაესი სასამართლოს განცხადებაში. მათივე ინფორმაციით, ხვიჩა მღებრიშვილმა მოსმენის შემდეგ სასამართლოს „ჰუმანურობისა და ობიექტური განაჩენისთვის მადლობა გადაუხადა.“ საოკუპაციო რეჟიმის კგბ-ს განცხადებით, ხვიჩა მღებრიშვილი ლუგარის ლაბორატორიის დავალებით, ცხინვალის რეგიონში ღამურებს აგროვებდა ბიოლოგიური მასალის მოპოვების მიზნით და თითოში 5-დან 10 ათასამდე აშშ დოლარს უხდიდნენ.

„მე რომ მესვრით, ის კაცები არ ხართ, თქვე წუპაკო მამაძაღლებო“!

უშედეგობით მოსული უიმედობა

წერილს დავიწყებ იმით, რომ მიუხედავად მოახლოებული არჩევნებისა, აგვისტო მაინცდამაინც დიდი პოლიტიკური ბატალიებით არ გამოირჩეოდა.

ჩვენმა ე.წ. პოლიტიკოსებმა აქტიურ მუშაობას, ამომრჩევლებთან ახლო ურთიერთობას და ქვეყნის განვითარების პროგრამების შემუშავებას თვითლუსტრაცია და პოლიტიკანური სისულელეები შემოგვთავაზეს.

ის, რომ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება ხელისუფლების მხრიდან კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს, არახალია და განსაკუთრებით პანდემიის პირობებში ეს პრობლემა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.

ყველა მოქალაქემ, ვინც რეალურად ხედავს ხელისუფლების მიერ მოსახლეობისთვის გადადგმულ ნაბიჯებს და არსებულ მდგომარეობას არ უყურებს ნაცტელევიზიებისა და რევანშისტების თვალით, იცის, რომ საქართველოში სხვა, ჩვენზე წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე ბევრად მეტი კეთდება.

რევანშისტების მიერ მოსყიდვად შეფასებული 17 წლამდე ასაკის ბავშვთა ფულადი დახმარების პროგრამა, გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევებით დადგენილ საყოველთაო ფულადი დახმარების ოდენობაზე ოთხჯერ მეტია:

Unicef-ის კვლევით დადგინდა, რომ 0-17 წლის ასაკის ბავშვებისთვის საყოველთაო ფულადი დახმარება ყველაზე ეფექტური მოდელია მოსახლეობისა და ბავშვების სიღარიბის დასაძლევად. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ თავად Unicef-ის კვლევაში რეკომენდაციის სახით შეთავაზებული იყო 50-ლარიანი დახმარების გაცემა ბავშვებისთვის, რაც იქნებოდა ხელშემწყობი ფაქტორი სიღარიბესთან ბრძოლის თვალსაზრისით. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების ყველა ბავშვისთვის განკუთვნილი 4-ჯერ მეტი, 200-ლარიანი დახმარება, ბუნებრივია, რომ მნიშვნელოვნად ზრდის ამ ეფექტს.

მე მეტ კომენტარს აღარ გავაკეთებ, რადგანაც მათთვის ვისაც დანახვა უნდა, ყველაფერი ნათელია.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს — შარშან ამ დროს, როცა დასავლეთ საქართველოდან თბილისში ვბრუნდებოდი, ხაშურის გავლისას დავწერე პოსტი — „ჩექ ინ ხაშურის პროპკა“.

არა მგონია, რომ ვინმე ნორმალურს ეწყინოს, რომ დღეიდან მსგავს პოსტს ვეღარ დაწერს.

მართლა კარგზე კარგია ის 13-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელმაც 40-50%-ით შეამცირა ამ მონაკვეთის გავლის დრო, მაგრამ უფრო შესანიშნავია ის რეალური პერსპექტივა, რომ წელს კიდევ 70 კმ ჩაგვბარდება (დიახ, სწორედაც რომ ჩვენ ჩაგვბარდება) და ის, რომ 2022-ში „სულ სხვა საქართველოში ვიცხოვრებთ“ (გიორგი გახარია)...

მოკლედ რომ ვთქვა, აღმასრულებელი ხელისუფლება ძალიან კარგად მუშაობს, რასაც ვერ ვიტყვით პოლიტიკურ ველზე, რომელიც თითქოსდა სხვა პლანეტას წარმოადგენს.

სწორედაც პოლიტიკური სივრცის გამოფიტვამ უშედეგობით მოსული უიმედობა მოიტანა.

დიახ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედაც რომ უშედეგობით მოსულმა უიმედობამ ღირსების დაბრუნების მოლოდინში სრული სტაგნაცია გამოიწვია.

ნამდვილად შესანიშნავია ის, რასაც ხელისუფლება ფაქტობრივად ყველა მიმართულებით აკეთებს, კოვიდთან ბრძოლა იქნება ეს, გარე ფაქტორების მიერ გამოწვეული სხვადასხვა სახის ზიანის (ზარალის) ღმოფხვრა, თუ საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს მუდმივი წინსვლა, მაგრამ ეს ყველაფერი უფერულდება იმ მორალური ფონით, რასაც აფთრების პროპაგანდის საშუალებები ამკვიდრებენ.

დამერწმუნეთ, ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მყოფ ადამიანს, რაც არ უნდა ბრწყინვალე საჩუქარი მიართვა, არ შეერგება და აუცილებლად გაუჩნდება აბსოლუტურად ლეგიტიმური შეკითხვა — რად მინდა შენი საჩუქარი, როცა ჩემზე ყოველდღე ძალადობენ, როცა შვილმკვდარ დედას უკვე პირდაპირ ემუქრებიან (და არა მარტო ამ უაზრო დამოკიდებულებით საზოგადოებაში სრული აპათია გაჩნდა და თუ აქამდე ხალხი ცდილობდა სხვადასხვა მანქანებით პასუხი გაეცა ფსიქოლოგიური ტერორისთვის და გარკვეული წინააღმდეგობა გაეწია, დღეს აშკარა ნიჰილიზმი იგრძნობა).

საზოგადოებამ ხელისუფლების დახმარებაზე ხელი ჩაიქნია და, სამწუხაროდ, სასაკლაოზე მიყვანილი ცხვრის მდგომარეობაში ჩადგა. ჩადგა და მორჩილად ელოდება თავის რიგს.

დარწმუნებული ვარ, მეტყვიან: მე მორალურად ვერ გამტეხენ, ბოლომდე ვიბრძოლებ და ა. შ. პათეტიკურ ლოზუნგებს გადმოისვრიან.

გთხოვთ, სანამ ამ ფრაზებს მეტყვით, საკუთარ გულში ჩაიხედეთ და ლოზუნგი მერე მსტყორცნეთ!

ის, რომ ე.წ. ოპოზიციის მიერ წარმოებული საარჩევნო კამპანია ერთი შეხედვით არანაირ ლოგიკურ ახსნას არ ექვემდებარება და მთვრალი კლოუნის მიერ შესრულებულ ტრიუკებს ჰგავს, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს.

მარტო მათი მყიფე „ერთობა“, ან მაჟორიტარობის ყოვლად ურეიტინგო და საზოგადოებისთვის ყოვლად მიუღებელი კანდიდატები რად ღირს, მაგრამ თუ მათი „პოლიტიკური სვლების“ გაშუქების საინფორმაციო კამპანიას დავაკვირდებით, ადვილად მივხვდებით, რომ ამ კლოუნის მმართველი ძალის მთავარ მიზანს არჩევნებში გამარჯვება და ხელისუფლების ცივილური შეცვლა სულაც არ წარმოადგენს.

ის აგრესია, რომელიც ნაცტელევიზიების ნებისმიერი გადაცემიდან მოდის, ის ამაზრზენი სიცრუე, რომელსაც საზოგადოებას თავს ახვევენ, ის ფსიქოლოგიური ტერორი, რომელიც ეჭვს და ნიჰილიზმს თესავს, მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობაში დაძაბულობის მუხტის აწევისკენ და არჩევნების გაყალბების საბაბით გარკვეული სახის არეულობის მოწყობისკენ.

ბევრჯერ მითქვამს, რომ უაზრო ბაქიბუქის მიუხედავად, ეს ხალხი რევოლუციის მომხდენი არ არის. არ არის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი ინტელექტი და მერკანტილური მიზნები რევოლუციას ვერ „გაქაჩავს“.

„მე რომ მესვრით, ის კაცები არ ხართ თქვენ, დურუს რომ ესვრით, ის კაცები ხართ, წუპაკო მამაძაღლებო“! - დათა თუთაშხიას ეს სიტყვები ზუსტად შეესაბამება ამ ე.წ. ოპოზიციონერებს.

ზუსტად შეესაბამება, რადგანაც ისინი რევოლუციას რომ მოახდენენ, ის კაცები არ არიან. არეულობას რომ დაიწყებენ, მხოლოდ ის კაცები არიან.

ამ ყველაფრის თავი და თავი კი არც მიჩა და მისი ფანატიკოსი მომხრეები, არც ბოკერია, თავისი ბოროტი ნატურით, არც ავადმყოფური აზროვნების გვარამია და არც ფულს დახარბებული „გაერთიანებული ოპოზიციონერები“ არ არიან.

ყველაფრის მიზეზი აგრესიული ლიბერალიზმის ის პანდემიაა, რომელიც მსოფლიოს უკვე რამდენიმე ათწლეულია მოედო, პირველ რიგში ნამდვილი ლიბერალიზმი დააზიანა და კონსერვატიზმს აშშ-სა და ევროპაში შეიარაღებული ძალადობით, ბელარუსში „შიშველი ფეხების“ აქციით, დანარჩენ კონსერვატიულ რეგიონებში, ტრადიციების, რწმენის, განათლებისა და კულტურის ნგრევის პერსპექტივით გავრცელდა.

ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ტიპები მხოლოდ და მხოლოდ ის ვირუსები არიან, რომლებიც ამ უბედურებას ავრცელებენ და თავშივე კლავენ ჯანსაღი ორგანიზმის ყოველგვარ წინააღმდეგობას.

ამ ვირუსს საკმაოდ ბევრი ფარული მატარებელი ჰყავს, რომლებიც მმართველ პარტიას, ადმინისტრაციულ რესურსს, მედიას და სხვა სფეროებს არიან შეფარებულნი და ადამიანებში შეპარული ვამპირების მონების მსგავსად, საჭირო დროს თავიანთ სისხლიან ღოჯებს გამოაჩენენ.

იმის ლოდინი და იმედი, რომ „ხალხმა ყველაფერი იცის და არჩევნებში ეს ზომბები დამარცხდებიან“, თავის მოტყუებაა.

ბრძოლა უკვე დიდი ხანია, დაწყებულია და ყოველ წუთს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ლიბერასტიზმის რევოლუცია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

ამის ნათელი მაგალითი არც ამერიკელი და ევროპელი თეთრკანიანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ შავკანიანების ფეხების კოცნა, არც ისტორიული ფასეულობების განადგურება და არც რაღაც იმპოტენტი შეშფოთებები არ არის.

გადამწყვეტი ფაზა ბელარუსში „ფერადი რევოლუციის“ მოწყობის მცდელობა და შედეგად რუსული გავლენების სფეროს გაზრდის გაფართოებაა.

საქართველოში სრულიად მოსალოდნელია ფსევდოკონსერვატიული და ფსევდოეროვნული ძალების გააქტიურება, რომლებიც აგრესიული ლიბერალების ნარატივით არ ცნობენ განსხვავებულ, ჯანსაღ აზრს, აქვთ რაღაც სტანდარტული დოგმები და ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსად ოდესურ-ებრაული ცინიზმით უპირისპირდებიან დღევანდელი ქართული სახელმწიფოს არსებობის გარანტს.

სრული აბსურდია ამ საზოგადოების რაიმე რეიტინგზე საუბარი.

მსგავსი ტიპის პოლიტიკური აქტივობა გათვლილია „პროვინციულ ფაშიზმზე“ და სავარაუდო დამფინანსებლის მითიურ იმიჯზე.

სწორედ მსგავსი ქიმერების დევნა და მხარდაჭერაა არარეალური მომავლის ილუზია და მხარდამჭერთა სრული კრახი.



წინ მძიმე სექტემბერი და უფრო მძიმე ოქტომბერი გველოდება.

ამიტომ კიდევ ერთხელ გავიმეორებ ბერი დავითის (ჭაბუა ამირეჯიბის) ფრაზას:

ᲩᲙᲣᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲝ!

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲩᲘᲫᲔ

33 პარტიიდან ყველა არ არის პარტია, რამდენიმე პოლიტიკური ინდმეწარმეა

33 პარტიიდან ყველა არ არის პარტია, რამდენიმე პოლიტიკური ინდმეწარმეა, მათ გამაერთიანებელი აქვთ დესტრუქციის, არეულობის მცდელობა, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ გაერთიანებული ოპოზიციის შეხვედრასა და მემორანდუმის გაფორმებაზე საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, გაერთიანებული ოპოზიცია პოლიტიკური სუბიექტების ერთობაა, რომელიც ქვეყანას დესტაბილიზაციას ჰპირდება.

„33 პარტიიდან ყველა არ არის პარტია, რამდენიმე პარტიაა და დანარჩენი პოლიტიკური ინდმეწარმე, ასე, პირობითად რომ ვთქვათ. რაოდენობით ბევრი ჩანან, ხალხის ყურადღების მიპყრობა სურთ და გარდა ამისა, გამაერთიანებელი რაც აქვთ, ეს არის დესტრუქციის, არეულობის მცდელობა და ამას თავის განცხადებებშიც ადასტურებენ. გუშინ ეს პარტიები ერთმანეთს კრემლის აგენტებს და დასავლეთის მონებს ეძახდნენ. ეს გაერთიანება არის ადამიანების, პოლიტიკური სუბიექტების ერთობა, რომელიც ქვეყანას ჰპირდება დესტაბილიზაციას, დესტრუქციას და მადლობა ღმერთს, რომ „ქართულ ოცნებას“ არ აქვს აუცილებლობა კოალიციურ შემადგენლობაში ჰყავდეს ასეთი პოლიტიკური სუბიექტები. ვფიქრობთ, საზოგადოება სწორად შეაფასებს ამ ვითარებას და სწორ არჩევანს გააკეთებს სტაბილურობის სასარგებლოდ“, — გია ვოლსკი.

ნამგლები ალესილია, უროები გამოჭედილია, მეცხრე ტალღასღა ველით!

(პირველი გვერდიდან) ქრესტომათიულია ამ გამოჩენილი ადვოკატის ერთი პროცესი. ასამართლებენ ღარიბ-ღატაკ კუზიან კაცს, ლაქიას, რომელმაც თავისი ბატონი, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი კაცი მოკლა. სწორედ მან რომ მოკლა, უტყუარია, თვითონაც აღიარა, არიან მოწმეებიც, დამნაშავეს თოკზე რომ ჩამოკიდებენ, ამაშიც ეჭვი არავის ეპარება. ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა თვითონ ითავა მისი დაცვა.

სასამართლო პროცესი. გადაჭედილი დარბაზი. სიტყვა ადვოკატს მიეცა, ლუარსაბი წამოდგა, მდაბლად დაუკრა თავი პროცესის მონაწილეებს და პათოსით დაიწყო: „თქვენო ღირსებავ, ბატონო მოსამართლევ, თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პროკურორო, ღრმად პატივცემულო ბატონო მსაჯულნო!“ შეისვენა და გააგრძელა: „თქვენო ღირსებავ, ბატონო მოსამართლევ, თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პროკურორო...“ და ასე 15-ჯერ თუ 20-ჯერ. ამ დაუსრულებლობით გულშეღონებულმა მოსამართლემ თავისი ხის ჩაქუჩი ესროლა ადვოკატს, ამ უკანასკნელმა ძლივს აიცილა.

— თქვენო ღირსებავ, ბატონო მოსამართლევ, — ახმაურებულ დარბაზს მაღლა ხელაღმართულმა მოავლო თვალი ლუარსაბმა, — მე დაცვას ვიწყებ. მხოლოდ ღრმა პატივისცემით, ბატონობით რამდენჯერმე მოგმართეთ, თქვენ კი ნერვებმა გიმტყუნათ და ჩაქუჩი მესროლეთ, მოკვლა მომინდომეთ. ამ საწყალ კაცს კი გარდაცვლილი ბატონი მთელი ცხოვრება „კუზიანს“ ეძახდა, სანამ გონება არ აურია და აფექტის მდგომარეობაში ხელთ იარაღი არ ააღებინა. ახლა განსაჯეთ, დამნაშავეა ის თუ არა!..

სასამართლომ ბრალდებული გაამართლა.

ეს გრძელი ამბავი ადვოკატის უზენაესი ოსტატობისა იმიტომ მოვიხმე, რომ მისი უბადრუკი შთამომავლების პროფესიული სიღატაკისთვის შემედარებინა.

ახლა ისევ ვახო სანაიას „ექსპერიმენტი“. ამ ახალგაზრდა სიმპათიური ჟურნალისტის თავგანწირულ ამაო ცდაზე, მოეწოდებინა „ახლადაღმოჩენილი“ ფაქტები, რომლებსაც ვითომ შეეძლო რაიმე არსებითად შეეცვალა გამოძიებაში, არაფერს ვიტყვი, არ ღირს. დღეს საქართველოში ბევრი ებღაუჭება ამგვარ უშედეგო ცდას. მაგრამ ერთი კია, ქვეყანაში, სადაც ამდენი მოხალისე შერლოკ ჰოლმსია, სადაც ყველამ ყველაფერი იცის, განსაკუთრებით და უდავოდ — პროკურატურასა და შინაგან საქმეთა უწყებაზე უკეთ, ამ სპეციფიკურ საქმეზე ამდენი ლაპარაკით, საჯარო განხილვა-მსჯელობით, საერთოდ დაუკარგეს ხალხს სამართალდამცველი ორგანოების რწმენა და ნდობა.

მთელი ამ „ექსპერიმენტ“-დედუქციური მსჯელობების მიზანიც ეს იყო: პროკურატურისა და პოლიციის მიმართ ურწმუნობის დანერგვა და ძახილი: ქვეყანა იღუპება, კრიმინოგენური ვითარება უკიდურესად გამწვავდა, შავმა სამყარომ იძალა, ქუჩებში სისხლი იღვრება, შვილებს გვიხოცავენ, პატრონი კი არავინ არის. ამიტომ, ქვეყანა სულ რომ არ დაიღუპოს, სასწრაფოდ (შემოდგომის არჩევნებზე) უნდა შევცვალოთ „ოცნების“ ხელისუფლება, სათავეში უნდა მოვიდეს ოპოზიცია, კონკრეტულად — ნაცები და ევრონაცები. მხოლოდ ისინი გადაგვარჩენენ! ყველა, მინუს ერთი!

ახლა მეორე: იმ გადაცემამ ისიც აჩვენა, რომ სამართალში მიცემულთა ადვოკატები დაცვის ერთადერთ ხაზს მიჰყვებიან: **დამნაშავეებად შერაცხილნი დამნაშავეები არ არიან!** მათ დაავიწყდათ, ან საერთოდ არ უწყიან თავიანთი პროფესიის მაქსიმა: არა მხოლოდ ბრალდებულის დაცვა, არამედ სიმართლის, ჭეშმარიტების დადგენაში დახმარება!

პროცესზე ბრალდების მხარე, რა თქმა უნდა, თავის მძიმე არგუმენტებს წამოაყენებს, რასაც მხოლოდ შიშველი უარყოფა დახვდება, სამწუხაროდ, არა დასაბუთებული, არამედ ოდენ ადვოკატთა გაქირზე დაფუძნებული.

იმ დღეს სტუდიაში ოთხი ადვოკატი იყო: ბრალწაყენებულ **ვახტანგ ჩიქოვანისა — თემურ მაისურაძე, არასრულწლოვან ზ.ხ-სი — გიორგი გელხაური, არჩილ გაგნიძისა — ალექსანდრე კობაიძე** და **ნიკა რევაზიშვილისა — შოთა კახიძე**. ოთხივეს დაცვის ერთადერთი სტრატეგია აქვს არჩეული — **ბიჭები უდანაშაულონი არიან, მათ არ მოუკლავთ გიორგი შაქარაშვილი, მოკლეს სხვებმა, ვიღაცებმა, ან უნებურად თვითონ გადავარდა წყალში...**

ორი ვაცის ასეთ ჭიდილში ორივე, რა თქმა უნდა, ხიდიდან გადაცვივდება, მაგრამ საზოგადოებაში დაიბუდებს აზრი, რომ გამოძიებამ არ გაიზიარა ადვოკატების მართებული აზრი და უდანაშაულო ხალხი ჩაყარა ციხეში. ესეც შენი სასამართლო და პროკურატურა, რომლებიც ხელისუფლების დავალებას ასრულებენ. ძირს ასეთი ხელისუფლება და სამართალი!

ბევრია ასეთი „ძირს, ძირს“ საძახებელი...

აი, თუნდაც:

ლელოელმა მამუკა ხაზარაძემ 2019 წლის მარტში პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაზე სიტყვით გამოსვლისას სენსაციური რამ თქვა, რამაც საზოგადოება დაშოკა: **შარშანდელ, ანუ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების II ტურის წინ მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ მუქარის წერილი გამომიგზავნა — მე, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, უნდა შემესრულებინა მოთხოვნა სატელევიზიო არხებთან („ტვ პირველი“, „არტარეა“) დაკავშირებითო.**

რა თქმა უნდა, საქმეს უმალ მიეცა მსვლელობა. საბოლოოდ უფალ ხაზარაძის მიერ წარმოდგენილი „გახარიას მუქარის წერილი“ ლონდონში აღმოჩნდა დაქტილოსკოპიური ანალიზისთვის. **როგორც გვამცნეს, წერილზე 20 სხვადასხვა თითის ანაბეჭდია, ოღონდ მათგან არც ერთი არ ეკუთვნის გიორგი გახარიას.**

ამრიგად, ლონდონმა არ დაადასტურა „ლელოს“ გულისფანცქალიანი ვარაუდი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია „ლელოს“ პრესსამსახურისთვის, რომ 22 აგვისტოს ამ პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის ბადრი ჯაფარიძის სახელით განცხადება გაეკეთებინა, რომ **„საქართველოს პროკურატურა უსუსურად ცდილობს, გიორგი გახარიას პასუხისმგებლობა მოუხსნას მუქარის წერილთან დაკავშირებით“ და გიორგი გახარიას მოუწოდეს, „თქვას სიმართლე“.**

პრემიერი გიორგი გახარია უმალ გამოეხმაურა „მოწოდებას“ და განაცხადა, **ამ სასაცილო ისტორიაში მთავარი ის არის, რომ მე, როგორც რიგითმა მოქალაქემ, გამოძიებასთან ვითანამშრომლეო.** ეს კი ნიშნავს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით მან თავი ვალდებულად ცნო თითების ანაბეჭდები მიეცა პოლიციისთვის.

და მაინც, საზოგადოებას თავს ახვევენ პრემიერის — ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის „დანაშაულს“.

გუშინ კიდევ ერთი „აღმოჩენა“ გაგვაცნო დიდმა კრიმინალისტმა ნიკა გვარამიამ, ამჯერად თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: რამდენიმე მაღალჩინოსანმა იძულებით მოახსნევინა პროგრამისტ გოგონას ანგარიშებიდან დიდი თანხა და მერე თავიდან მოიშორაო. მას სუსი უთვალთვალებდა სამი მანქანითო (ნომრები წარმოადგინა).

მერე, გვინდა ასეთი ხელისუფლება?

არა! არა! არა!

რა ეკუთვნის ასეთ ხელისუფლებას?

ძირს! ძირს! ძირს!

მაგრამ ყოველივე, რაც ვიცით, საკმარისია ამ უვარგისი მთავრობისა და ხელისუფლების დასამხობად ადამიანთა საყოველთაო მოხმობისთვის? როგორც ჩანს, არა, რადგან ჯერჯერობით რაღაც არ შეიმჩნევა აბღავლებული ხალხის ქუჩებში დაუსრულებელი მდინარება.

როგორც ჩანს, სხვა, უფრო არსებითი, წონიანი სამხილია საჭირო.

და ახლა ქვეყანა ელის მთავარ „კოზირს“, მეცხრე ტალღას, მეხის გავარდნას.

ნამგლები უკვე ალესილია, უროები უკვე გამოჭედილია!

და მაშინ წინ, ნათელი მომავლისკენ წარგვიძღვებიან ჩვენზე გადამკვდარი, ბრძოლებში გამობრძმედილი ლიდერები, ისეთები, თვალში რომ ჩაგიცვივდნენ, თითს არ ამოისვამ: მელია, ბოკერია, უგულავა, ბოკუჩავა, გვარამია, რურუა... უჰ, კინაღამ ქარდავა დამავიწყდა, კაცო!

ალეკო ასლანიშვილი

ნიკოლიკა წკვარამია-გვარამია-ვარამიას ფეხებზე ჰკიდია, ვინ მკვდარია და ვინ ცოცხალი, იმას სულ სხვა შავი მიზანი ამამაძაღლებს...

რაღა დარჩა, ორ თვეზე რამდენიმე დღით მეტი და უკვე მზად იქნება ის საარჩევნო აბანო, სადაც თვალცხადლივ გამოჩნდება, ვის შავი აქვს და ვის კიდევ თეთრი ის ერთი თიმთიმა ადგილი.... რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ გაერთიანებულ ოპოზიციას, ბევრად უფრო მეტად არჩევნებისშემდგომ გასატრაკუცუნებლად იჭერს თადარიგს, ვიდრე თვითონ არჩევნებისთვის. ამიტომაც ეს გაერთიანებული მაჯლაჯუნათა ლაშქარი, ხალხის თვალში შარვალჩასვრილ ნაციონალთა მეთაურობით, კარგა ხანია თავისი სამი შხამიანი ვაიარხისა და ამ სამს მიტმასნილი ჯანგირა-აქუს „კავკასიის“ (SIC!) საშუალებით გრიშა ვაშაძის ორკესტრისა და გიორგა ვაშაძის გუნდისთვის მუშაობს „ქართული ოცნების“ რეკვიემის შესაქმნელად. თუმცაღა, ჯერ გასარკვევია, საბოლოოდ ვინ ვის რეკვიემს შექმნის. ისე, აშკარაა წინასაარჩევნო „დიდგორი“. ვაშაძეების ლაშქარს თუ თურქ-სელჯუკებად წარმოვიდგენთ, ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის ნათელი უნდა გახდეს, ვის მხარეს იქნება „ძლევაი საკვირველი“...

მართალია, როგორც ზემოთ ითქვა, ამ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციას სამი ქვემეხი და ერთიც კაჟიანი თოფი აქვს, მაგრამ მთავარი ძალა და იმედი მაინც გვარამიაა, წკვარამია-ვარამია-არამია, რომელიც ნემსის ყუნწში ძვრება (მე შენ გეტყვი, ვერ გაეტევა!), რათა ტალახში ამოგანგლოს „ქართული ოცნება“, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც წინასაარჩევნოდ თურმე ჩინელებს დაავალა კორონავირუსის შექმნა, ხოლო დროდადრო საქართველოში ქარიშხალს აბობოქრებს და ატბორინებს მთასა და ბარს... აგერ ახლა, კვირას, შუაღამისას, გვარამიამ მტარვალი „მთავარის“ სტუდიაში მიიწვია ორი მოკლული ახალგაზრდის ახლობლები და მკვლელობაში ეჭვმიტანილთა ადვოკატები, რომელნიც მთელი ორი საათი ალაპარაკა და საბოლოოდ დაასკვნა, რომ ჩვენი პროკურატურა, როგორც გენერალური, ისე საქალაქო, იდიოტების ბუდეა და

დღემდე ვერ დაადგინეს მკვლელები, მაშინ როცა თვითონ იცის, ვინ მოკლა როგორც შაქარაშვილი, ისე ბაჩალიაშვილი... ერთი სიტყვით, ეს ნიკოლიკა, ანზორია გვარამიას ბიჭი, თვითონ არის გამომძიებელიც და პროკურორიც, და რაღა საჭირო ა ან პროკურატურა, ან შინაგან საქმეთა სამინისტრო, ამ ორსავეს შეითავსებს გვარამია, რაც გარკვეულ თანხას დაუზოგავს ეკონომიკურ კრიზისში მყოფ სახელმწიფოს...

როგორც ხმა გამოვიდა, გიორგა ვაშაძე, დავით აღმაშენებლის სტრატეგიის ლიდერი, თურმე გვარამიასთან და თაკო ჩარკვიანთან ერთად „გალობანი სინანულის“ ახალ ვარიანტზე მუშაობს და დროდადრო კიევში რეკავს თავის სპასალარისგან რაღაც-რაღაცა რჩევების საკითხავად, რა არი „სინანული“ ემანდ რეკვიემად არ ექცეს... არადა, გრიშა ვაშაძის ორკესტრი შესასრულებლად მზად არის. დირიჟორად მიწვეულია ძველი, ცხრა გვარამიასა, ოცდაცხრა სალომე სამადაშვილსა და ორმოცდაცხრა თინა ბოკუჩავაზე გადამხტარი, შუმი ლეიბორისტი შალიკო ნათელაშვილი, რომელიც ეგრეთ წოდებული გაერთიანებული ოპოზიციური ლაშქრის ბონაპარტედ ჩამოყალიბდა.

ბოლოს ისღა დაგვრჩენია, კარგად მოვეწყოთ ტელევიზორებთან, გართობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ფრიად და ფრიად სასაცილო სანახაობის საყურებლად...

გურამ წიკლაური

დარჩა კაცად და მეცნიერად

ვეცადოთ, რომ როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული!

ვეხმაურებით წერილს ღირსეულ მამულიშვილზე

ქართველ ღირსეულ მამულიშვილთ!

ჩვენო თანამემამულენო, გვსურს, ამაღლებული შთაბეჭდილებით გამოვეხმაუროთ ქართველი ერის თანამედროვეობის ღირსეული შვილის, ერისკაცის ბატონი ნოდარ ჭითანავას საგაზეთო პუბლიკაციას „თვალსაჩინო მეცნიერი, ღირსეული მოღვაწე“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №104 (9030), 22-24 აგვისტო 2020 წელი). პირველ რიგში – მადლობა გაზეთის აკადემიურ კოლექტივს ამ და სხვა პუბლიკაციებისთვის, რომლებიც გვახსენებენ ქართველობას, ეროვნულ ტრადიციებსა და სულიერ ფასეულობებს, როგორც გზამკვლევს, სწორი სამომავლო ქრისტიანული ყოფიერებისა და დაუცხრომელი შემოქმედებისაკენ.

უღრმესი მადლობა ბატონ ნოდარს, ქართველი ერის ფესვებზე დღეენიადაგ ზრუნვისთვის. მისი სტატიები, წერილები და წიგნები გვიქმნის წარუშლელ შთაბეჭდილებას, რომ ცხადში და სიზმარშიც მისი უპირველესი საზრუნავი სამშობლო, ქართველი ერის წარსულსა და აწმყოზე ასაგები (ასაშენებელი) მომავალია. ბატონმა ნოდარმა თავის სტატიაში წარმოაჩინა საქართველოს უპირველესი კუთხის – აჭარაში შობილი, მრავალი ღირსებით შემკული მამულიშვილი **ვახტანგ პაპუნიძე**. ვკითხულობთ წერილს და თვალსაწიერი გვიფართოვდება: როგორი უნდა იყოს ქართველი კაცი, როგორც სიმბოლო კაცობისა, როგორი უნდა იყოს მრავალშვილიანი ქართული ოჯახი, როგორ უნდა მისცენ მშობლებმა შვილებს განათლება, როგორ უნდა ასწავლონ ლხინისა და ჭირის აღქმის უნარი, როგორი უნდა იყოს მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ხელმძღვანელი, ლიდერი...

ვახტანგ პაპუნიძის ჭეშმარიტ თვისებებზე და ნაყოფიერ შემოქმედებაზე შეიძლება ბევრი დაიწეროს. მისი დაბადებიდან 85 წლისთავზე ბერიძეებმა გამოვაქვეყნეთ დიდი წერილი „ვახტანგ პაპუნიძის სულის ღაღადისი“ (გაზ. „ახალი თაობა“ №198, 25 აგვისტო 2015 წელი. გაზ. „აჭარა P. S.“ №37-38, 8 დეკემბერი 2015 წელი). აღვნიშნეთ ისიც, თუ როგორი უნდა იყოს კაცი ღალატის პირობებშიც. მან ქართველ მამრთ აგვიმაღლა ღირსება და სიწმინდით, მძლედ შეაღო მარადისობის კარიბჭე. დღეს გვსურს, დავლოცოთ ბატონი ვახტანგის შთამომავლობა, გვარი და ერი.

1990-იან წლებში თავისუფლების მოპოვების საფასურად გავწყვიტეთ ყველანაირი ძაფი, თოკი და ჯაჭვი წარსულ სიდიადესთან და მის ფესვებთან. დღეს წარსულს მხოლოდ უკმეხად მოვიხსენიებთ. გაქრა ტრადიციების დიდება, სულიერების სიწმინდე, თანაგრძნობა, პატივმიგება, თაყვანისცემა, სიყვარული, რწმენა, ოჯახური სიდიადე, სიწმინდე... ქართველი საზოგადოების ნახევარი უცხოეთში გაიხიზნა, რომელთაგან 80% უკან აღარ არის დამბრუნებელი! კატასტროფულად დაეცა შობადობა, გაიზარდა ხეიბარ ბავშვთა შობადობის დონე... სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელების შემოდინება. ქართველი კაცი ბიოლოგიური გადარჩენის მიზნით ყველაფერს ყიდის (მ.შ. ცალკეულები ახალშობილსაც, რათა დანარჩენი გადაარჩინონ!). იყიდება: მიწა, მამული, წყალი, საჰაერო სივრცე, ტყე, მდელო, ქვა, საბადო, ...ყველაფერი. გამყიდველი – ქართველი! მყიდველი – უცხოელი! სრულად ჩაკვდა საზოგადოებრივი აზრი და სახელმწიფოებრივი იდეოლოგია! ტელევიზია და ტელეკომუნიკაციები (ცალკეული საიტები) ისეთ სიბილწეს გვაჩვენებენ, რომ საძინებელში მეუღლესთან მწოლ კაცსაც კი შეგრცხვება. უცხო „თესლის“ მამაკაცთა ქართველი ხარჭა ქალები სატელევიზიო ეთერით უწმინდური პირით ოჯახურ სიწმინდეზე გვმოძღვრავენ!!! ევროპაში მივდივართ, სადაც ფეხის დასადგმელი ადგილი აღარაა. ან რატომ მივდივართ? ქართველები ხომ უპირველესი და ძირძველი კავკასიელები ვართ. ევროპელი (გერმანელი) ერთ-ერთი დიდი მოაზროვნე და ფილოსოფოსი ჰეგელი წერდა: **„მხოლოდ კავკასიის რასაში სული აბსოლუტურ ერთიანობაში მოდის თავის თავთან, მხოლოდ აქ სული შედის სრულ წინააღმდეგობაში ბუნებრივი არსებობის პირობებთან, აღწევს თავის თავს აბსოლუტურ დამოუკიდებლობაში, ამოსსლტება იქით და აქეთ მუდმივი რყევიდან, ერთი უკიდურესობიდან მეორისაკენ, აღწევს თვითგანსაზღვრულობას, თვითგანვითარებას და ამით ახორციელებს მსოფლიო ისტორიას... პროგრესი ხორციელდება მხოლოდ კავკასიური რასის წყალობით“.**

როგორც ჩანს, „დიდ აღმართს დიდი თავდაღმართი მოსდევს; ხანგრძლივ გვალვას ხანგრძლივი წვიმა მოჰყვება ხოლმე; დიდი სიხარული ხშირად დიდ სიმწუხრედ იცვლება ადამიანისა და ქვეყნის ცხოვრებაში“ (ი.გოგებაშვილი, „სხივი წარსულისა“, თბ., 1898 წ., გვ.3). რა გაეწყობა? განგების კანონებს ვერ გავექცევით: 30 წელია, რაც მიწას ერთ ადგილზე ვტკეპნით. რა არ ჩავიდინეთ: მოვკალით პრეზიდენტი, „გავგუდეთ“ პრემიერ-მინისტრი, დავიჭირეთ ერთი ფინანსთა მინისტრი, მეორეს თავი მოვაკვლევინეთ, ასევე ეკონომიკის მინისტრს, მოვკალით მილიარდერი ბიზნესმენი, პარტიის ლიდერი, ამოვწყვიტეთ ოჯახი, მოვახდინეთ სახელისუფლებო გადატრიალება და სამოქალაქო ომით დავანგრიეთ ქვეყანა, დავმარცხდით ოკუპანტებთან, დავკარგეთ ტერიტორიები და უფლის სალოცავი ტაძარი... სამაგიეროდ, მივეძალეთ ფუჭ და ბილწსიტყვაობას, ტრაბახს, მუქარას, შურს, შუღლს, მოჩვენებითობას, ღალატს... დედაქალაქში დაგროვილი დიდი უარყოფითი აურის „გასაწმენდად“ განგებამ დიდი წვიმა და ღვარცობი მოგვივლინა. დაქვეითდა ხალხის მეტყველების კულტურა, დედაქალაქში მნიშვნელოვნად გამრავლდნენ მათხოვრები.. დაეცა განათლების დონე და კულტურა, დაკნინდა ინტელიგენტი!

საუბარი შუახევის რაიონის მშრომელებთან (ცენტრში ვახტანგ პაპუნიძე).

ქართველი ერი დაეცა სულიერად და, რაც მთავარია, დაკარგა ეკონომიკური თავისუფლება. ეს ორი ფაქტორი საკმარისი გამოდგა ქართველი ერის დეგრადაციისთვის. რა უნდა იყოს იმაზე დიდი უბედურება, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი – ე.წ. „ოპოზიცია“ მოსისხლე მტრად მოეკიდა მეორე ნაწილს, ე.წ. „პოზიციას“ თუ „ოცნებას“! სერიოზული პრობლემებია კადრების არჩევა-დანიშვნაში. საკანონმდებლო ორგანოში მრავლად არიან მოღალატეები და „შარლატანები“, მოსაწესრიგებელია სატელევიზიო გადაცემათა პროგრამები. ამ მანკიერებათა ერთობლიობამ დააკნინა ქართველი კაცის სულიერება. **დაუმარცხებელი ქართველი ერი თავად ამარცხებს თავისავე თავს! ის, რაც ვერ შეძლო მტერმა და დუშმანმა, იმას თვით ქართველი სჩადის!**

მისასალმებელი და სასიხარულოა ის დადებითი ძვრები, რაც განხორციელდა ბოლო 5-6 წლის განმავლობაში. მაგრამ 20-25 წლის უძრაობის გამო ძალზედ ძნელია სერიოზული წინსვლა, ტემპის დაჩქარება. მაგრამ საამისოდ ყველაფერი უნდა ვიღონოთ. დღეს აღარაა კრიტიკის, ლანძღვისა და ღალატის დრო.

დღეს ქართველი ერის წინაშე დიდი პრობლემები დევს. ხომ არ ვუახლოვდებით ყოფნა-არყოფნის დღეს. მიგვაჩნია, რომ დღეს კიდევ შეიძლება გადარჩენა. უპირველესად უნდა გადავწყვიტოთ სამი ძირითადი პრობლემა, ქვეყანა უნდა ავაშენოთ სამი ძირითადი მიმართულებით: სულიერების, სამართლებრივ და ეკონომიკურ დედაბოძზე. უნდა შევიმუშაოთ ეროვნული იდეოლოგია და მეურნეობრივი განვითარების სამი, ხუთი, ათი და ოცწლიანი გეგმები. ერს უნდა შთავბეროთ იმედისა და რწმენის სული, ღვთისმშობლისა და უფლის ჭეშმარიტი რწმენა. უნდა მივაღწიოთ კანონის უზენაესობას. კანონს უნდა ემორჩილებოდეს ყველა: პრეზიდენტიც, სახელმწიფო მოხელეც, ბიზნესმენიც და რიგითიც და არა ისე, რომ კანონი ექვემდებარებოდეს შემწყალებელსა და „ძღვენმიტანილს“. როგორმე უნდა მივაღწიოთ ეკონომიკურ თავისუფლებას და განვთავისუფლდეთ უცხოური როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო ვალებისაგან. ვალუტა საკვებპროდუქტების შესაძენად ქვეყნიდან არ უნდა გაედინებოდეს. სირცხვილი და სიკვდილია, პროდუქტებს ყიდულობდეს ერი მთელი წლის განმავლობაში. გვეყო ავანტიურა და სახელმწიფოს ძარცვა! გვეყო მანქანების ბიზნესი (თბილისში აღარ იცხოვრება ავტომანქანების გამონაბოლქვის გამო), გვეყო უცხოური გრანტების „წუწკნა“! ტენდერში „უკუგება“ და „ნაცნობობა“. უიმედობა და უშრომელობა, უცხო ქვეყნების საელჩოსთან რიგში დგომა, ცოლების, დების და დედების მიერ უცხოეთში შხამად ნაშოვნი და გამოგზავნილი ფულით არსებობა. გვეყო საარჩევნო ხმების ყიდვა-გაყიდვა და სულიერების სიმახინჯე, სიცრუე და ღალატი!

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები და მანკიერება ქართველი ერის გათიშულობის ბრალია, არ არსებობს ერთიანი აზრი და თანადგომა. და თუ ქართველი ერი გონს მოეგება, გაერთიანდება და ერთი მიზნით იღვაწებს, იგი შესაძლოა გახდეს კავკასიის ლიდერი. ი.სტალინი ბრძანებდა: **„ვინც კავკასიას ფლობს, ის მსოფლიოს განაგებს!“** ამ ეტაპზე ეს კი ოცნებაა მხოლოდ. **„მეოცნებეთა მეურნეობა ცაში მოხერხდესო ეგებ!“** გვასწავლიდა დიდი კონსტანტინე გამსახურდია. თუ ქვეყანაში არ აილაგმა გაუთავებელი კრიტიკა, მთავრობისა და ხელისუფლების ლანძღვა-დამცირება, წარსულის უგულებელყოფა, ფესვების თხრა და უცხოელთა დაკრულზე „ბუქნაობა“, აუცილებლად დიქტატურამდე მიგვიყვანს, რაც ძალზე ძვირად დაუჯდება ქართველ ერს! (მაგრამ შესაძლოა, კარგიც იყოს!)

ბატონმა ნოდარმა თავისი პუბლიკაციით პატივი მიაგო ქართველი ერის ისტორიის ბოლოდროინდელ თვალსაჩინო მოღვაწესა და მეცნიერს, ღრმად პატივცემულ ვახტანგ პაპუნიძეს! მაგრამ რადგან ბატონი ვახტანგი საქართველოს ეროვნული გმირების: ფარნავაზის, დიდი ვახტანგის, დავითის, გიორგის, ცოტნეს, ქეთევანის, თამარის, ილიას, სელიმის და სხვა უამრავი გმირის სულიერი და გენობრივი მემკვიდრეა, ფაქტობრივად ჩვენმა სახელოვანმა ავტორმა პატივი მიაგო საქართველოს წარსულს, მის სიდიადეს. ნაკურთხი წყალი ასხურა ეროვნულ ფესვებს და მირონი აცხო ერის მარადისობას.

ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა ნ. დუმბაძემ მარადისობის ანდერძად დაგვიტოვა: **„ადამიანის სული, გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“.** დღეს ქართველებმა ადამიანთა სულებს ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ. სული უკვდავია, მარადისობაში მყოფი ჩვენი გმირების სულებიც ჩვენზე ლოცულობენ. და, თუ ეს არ გვჯერა, ჩვენი უკითხაობისა და ურწმუნოების ბრალია. ისტორიულად ქართველ ერს პროცენტულად ყველაზე მეტი გმირი ჰყავს მსოფლიოში. გარდაცვლილ გმირთა სულიერი ლოცვა ჩვენამდე კი აღწევს, მაგრამ ჩვენ არ ვლოცულობთ ჩვენსავე ფეხზე დგომისათვის.

დღეს ქართველ ერს უპირველესად სულიერი გაერთიანება სჭირდება, რაც თავისთავად ჩვენი ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთობლიობას გულისხმობს. უნდა ვადიდოთ საქართველოს სულიერი ზეცა, სადაც ვახტანგ პაპუნიძის ვარსკვლავიც კაშკაშებს.

დიდება უფალს! ღმერთო, გააერთიანე ქართველი ერი და გაამთლიანე საქართველო, წმინდა მარიამის წილხვედრი ქვეყანა, რათა მისი ყველა ტაძრიდან მუდმივად ისმოდეს რწმენის, იმედის, ერთიანობის სწავლისა და ნაყოფიერი შრომის ზარების გუგუნი, რათა ქართველი ერის ცივილიზაციის დაისს არ შესწრებოდეს კაცობრიობა!

ქრისტესმიერი სიყვარულით

ვაჟა ბერიძე – ბერიძეთა გვარის ეთნარქი (თბილისი, ტელ. 599 33 53 60);
აკაკი ბერიძე – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (აჭარა);
ავთანდილ ბერიძე – საზოგადო მოღვაწე (ბათუმი);
ალექსანდრე ბერიძე – მუსიკოსი, „გრან-პრის“ მფლობელი (ნიუ-იორკი, აშშ);
გრიგოლ (ენრიკო) ბერიძე – ბიზნესის პროფესორი ;
იური ბერიძე – პოლიტოლოგი (ნიდერლანდები);
მერაბ ბერიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ახალციხე);
ბეგი ბერიძე – მევენახე (თელავი);
ოძროპირ ბერიძე – ცნობილი მოჭიდავე (ქედა).

თბილისი, 2020 წლის 25 აგვისტო, ვახტანგ პაპუნიძის დაბადების დღე.

რისი უნდა ეშინოდეს აფხაზეთს?..

ქართულ-აფხაზურ-რუსული ენერგოკვანძი

27 წლის განმავლობაში აფხაზეთი ელექტროენერგიას ფაქტობრივად უფასოდ მოიხმარს. ამასთან, საუკუნის მეოთხედია, რესპუბლიკა მოცულობებს მხოლოდ ზრდის, მაგრამ არ არემონტებს და არ იხდის გენერაციაში. ამ ფონზე აფხაზეთში მსოფლიოს მასშტაბით ელექტროენერგიაზე ყველაზე დაბალი ფასია. დარგი კი წლიდან წლამდე ინგრევა და განვითარების ნაცვლად აფხაზები მხოლოდ ავსებენ ხვრელებს, რომლებიც სულ უფრო მეტია.

რესპუბლიკის ენერგეტიკულ სფეროში არსებულ სავალალო მდგომარეობაზე სხვადასხვა დონის ჩინოსნები საუბრობდნენ. **„სადღეისოდ ენერგეტიკა ყველაზე სავალალო მდგომარეობაშია. და ეს იმ დროს, როცა მნიშვნელოვანი რესურსები გაგვაჩნია. დღეს ელექტროენერგიას მხოლოდ ენგურჰესიდან ვიღებთ. ჩვენთან ჯერჯერობით არ გამოიყენება მცირე ენერგეტიკის შესაძლებლობები, არსებობს ალტერნატიული ენერგეტიკის გამოყენების შესაძლებლობა. მაგრამ ჩვენ ფაქტობრივად არაფერი გავაკეთეთ. მთელი ჩვენი ენერგოსისტემა მოძველდა და კრიტიკულ მდგომარეობაშია. როგორ განვითარდება ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, თუ ეს სისტემა გარკვეული დროის შემდეგ საერთოდ ჩამოიშლება?“,** — ამბობდა პრეზიდენტობის პერიოდში რაულ ხაჯიმბა. მას სხვადასხვა რანგის ჩინოსნებიც ეთანხმებოდნენ, თუმცა სიტყვებს იქით საქმე არ წასულა.

აფხაზი ეკონომისტის **ანატოლი ოტირბას** აზრით, ვითარება „იმდენად სერიოზულია, რომ ეროვნული და სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის რისკებს შეიცავს“. **„მიუხედავად იმისა, რომ „ჩერნომორენერგოს“ ხელმძღვანელობის მტკიცებების თანახმად, აფხაზეთი ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ენერგიის 40%-ს მოიხმარს (რეალურად, ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი 40%-ზე მეტია, ზამთრის სეზონზე კი 100%-საც აღწევს), კომპლექსის საკვანძო ობიექტები კი ჩვენს ტერიტორიაზეა განლაგებული, თავად კომპლექსი იურიდიულად ქართულია და აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა ობიექტი მის ბალანსზეა. ანუ, იურიდიულად, ენგურჰესის მთელი კომპლექსი ქართულია და აფხაზური იქ არაფერია. მეტსაც გეტყვით, ელექტროენერგიის ის წილიც, რომელსაც აფხაზეთი იღებს, იურიდიულად არანაირად არაა გაფორმებული“,** — ამბობს ოტირბა. მისივე თქმით, ქართულ მხარესთან მთელი ურთიერთობა ზეპირსიტყვიერ შეთანხმებას ემყარება, რომელიც, უნდა აღინიშნოს, თბილისს არასოდეს დაურღვევია.

საერთოდ, საქართველოსა და აფხაზეთს შორის ელექტროენერგიის გადანაწილების შესახებ ეს ომისშემდგომი შეთანხმება, რა თქმა უნდა, უპრეცედენტოა. აგერ უკვე თითქმის სამი ათწლეულია, საქართველო, თუნდაც არა თავისი ფულით, არემონტებს, ემსახურება და მეთვალყურეობს ენგურჰესს. იტყვით — რატომაც არაო? აგიხსნით: საქართველოში ენერგეტიკის ასობით დიდი და მცირე ობიექტია. ენგურჰესის დაკარგვა ქართული ენერგეტიკული დარგისთვის, რომელიც ბოლო წლებში გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება, უმნიშვნელოა. მაშინ, როცა აფხაზეთისთვის ეს კატასტროფაა, რადგან კვების სხვა წყარო რესპუბლიკას არ გააჩნია. მაშასადამე, ალტერნატივა არ აქვს. მაგრამ რატომღაც, გაუგებარი მიზეზით აფხაზეთი ყოველ ჯერზე დაბრკოლებებს უქმნის უცხოურ კომპანიებს, რომლებიც ენგურჰესს არემონტებენ. მაგალითი ბევრი იყო და განსხვავებული. ერთ-ერთი ბოლო ასეთია: კომპანია, რომელმაც 2019 წელს საერთაშორისო ტენდერში გაიმარჯვა და სადგურისკენ გზა უნდა აეშენებინა, უკვე დიდი ხანია, ვერ იწყებს სამუშაოებს რუსი მესაზღვრეების მიერ გამოგონილი ათასგვარი მიზეზის გამო.

აფხაზურ ენერგეტიკაში არსებული ვითარება ცნობილ ამერიკულ ატრაქციონს მოგვაგონებს. ყოველწლიურად, ელექტროენერგიის გათიშვის პერიოდში იწყება ტრადიციული ფართო განხილვა, როგორ დავფაროთ ღირებულება გადადინებისა, რომელიც ყოველთვის თითქოსდა რუსეთის ტერიტორიიდან ხორციელდებოდა. თუმცა მიმდინარე წლის იანვარში, როდესაც რესპუბლიკაში ელექტროენერგიის ე.წ. მარაოსებრი გათიშვები დაიწყო, მოულოდნელად ამოტივტივდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „საქართველო კვლავ ყიდულობს რუსულ ელეტროენერგიას დენის გარეშე დარჩენილი აფხაზეთისთვის მისაწოდებლად“. მეტიც, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ გაავრცელა განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთიდან აფხაზეთის ენერგომომარაგება რუსულ კომპანია „Интер РАО“-სა და საქართველოს ენერგოსისტემის კომერციულ ოპერატორს შორის გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე ხორციელდება. სამინისტროს მონაცემებით, ამ მიზნით „Интер РАО“-სთან გაფორმდა „მოკლევადიანი კონტრაქტი და აფხაზეთი ელექტროენერგიას გადამცემ ხაზ „სალხინოთი“ მიიღებს, რომელიც საქართველოს ენერგოსისტემის ნაწილია“.

შოკი! აფხაზეთის მოსახლეობის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ეს განცხადება, რომელსაც მოგვიანებით „Интер РАО“-ს პრესსამსახური გაემიჯნა, ფარდას ხდიდა ფულის გათეთრების ერთ-ერთ ყველაზე დიდ ჩრდილოვან სქემას. ყველაფერი მარტივია. ყოველწლიურად აფხაზეთის ბიუჯეტი საშუალოდ 600 მლნ რუბლს ხარჯავდა იმ ელექტროენერგიაში, რომელსაც რესპუბლიკას ავარიების დროს რუსეთი აწვდიდა. გამოდის, რომ იმავე დროს საქართველო რუსეთს იმავე ელექტროენერგიაში უხდიდა. მაგრამ, ასეა თუ ისე, ტყუილს ფარდა აეხადა. მაგრამ განმარტება აფხაზეთის მოსახლეობისთვის არავის მიუცია. უამრავი სხვა პრობლემის ფონზე ამ საკითხმა დროთა განმავლობაში ჩრდილში გადაინაცვლა. თუმცა ხალხს არ დავიწყებია. და ახლა, როცა პრობლემამ აფხაზეთში კვლავ წამოყო თავი, საკითხი დღის წესრიგში დაბრუნდა. და კვლავ ხელისუფლების დუმილი...

„თუ საქართველო უხდიდა რუსეთს იმ ელექტროენერგიის საფასურს, რომელსაც ჩვენ ვიღებდით, რატომ არ სურს ჩვენს ხელისუფლებას, ეს გვითხრას? ეს რა, საუკუნის საიდუმლოა, თუ მორიგ რაიმე ფანდთან გვაქვს საქმე? მოგვწონს ეს თუ არა, ენერგეტიკის საკითხში საქართველოსთან გადაჯაჭვულები ვართ, ამ მიმართულებით საკითხები მთელი ამ წლების განმავლობაში უპრობლემოდ წყდებოდა. და უცებ — რაღაც აბსურდი. რა გამოდის, რომ რუსეთი ჩვენით ორჯერ ხეირობს?!“ — ამბობს ჩვენი რესპონდენტი ანდრეი.

სოხუმელი არკადი კი თავის მსჯელობაში კიდევ უფრო კატეგორიულია. **„ჩვენ — რიგით მოქალაქეებს რა, არ გვესმის, ეს რას ნიშნავს?! რუსეთი, როგორც კეთილმოსურნე, თითქოს გვეხმარება, რეალურად კი ჩვენს გასაჭირზე ხელს ითბობს, ართმევს რა ფულს ქართველებსაც და ჩვენს მწირ ბიუჯეტსაც! ამას მეგობრობა ჰქვია?! საერთოდ როგორაა ეს შესაძლებელი?!“** — აღშფოთებულია არკადი.

აფხაზ ეკონომისტ ანატოლი ოტირბას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულია ელექტროგენერატორები, რომელთა სიმძლავრე აფხაზეთის მოთხოვნას აღემატება, იურიდიულად რესპუბლიკა სრულად არის ენერგოდამოკიდებული. **„ყველა ჩვენგანი, აფხაზეთის ყველა მოქალაქე დღეს უნდა ვლოცულობდეთ, რომ საქართველომ და განსაკუთრებით მსოფლიო თანამეგობრობამ აფხაზეთის პოლიტიკური სუვერენიტეტი არ აღიარონ, რადგან ისინი მას საქართველოსთან დღევანდელი იურიდიული ურთიერთობების პირობებით აღიარებენ, რომელთა მიხედვით, აფხაზეთს ენგურჰესში წილი არ აქვს“,** — თვლის ოტირბა.

მთელი ამ ჩახლართული ამბის ფონზე ძალზე წინასწარმეტყველურად ჟღერს „ჩერნომორენერგოს“ ყოფილი ხელმძღვანელის ასლან ბასარიას სიტყვები, რომელიც მან კოლექტივთან დამშვიდობებისას წარმოთქვა — „მთელი ომისშემდგომი წლების განმავლობაში ყველა ენერგეტიკოსი ყოველთვის იმაზე იყო ორიენტირებული, რომ ენერგოსისტემა ნაციონალიზებული დარჩენილიყო“. ამ სიტყვებმა განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა ახლა, როცა აფხაზეთში რუსი სპეციალისტების ჯგუფი მუშაობს რესპუბლიკის ენერგოსისტემის შესასწავლად. მათი ვიზიტი აფხაზურ საზოგადოებაში არაერთგვაროვნად აღიქვეს. ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ დახმარების სურვილით შენიღბული ეს ვიზიტი ენერგოსისტემის გაყიდვით დასრულდება.

„რუსეთს ჩვენი ენერგოსისტემის შესყიდვა არაერთხელ უცდია, თუმცა ჩვენი ხელმძღვანელები ახერხებდნენ, ეს თავიდან აგვერიდებინა. ამჯერად, ვფიქრობ, ეს გაგვიჭირდება. მომავალ წელს ხომ ენგურჰესი სარემონტოდ ჩერდება — და რა გველის, თუ რუსეთი დენს არ მოგვაწვდის? გამოდის, რუსეთი ამ ხელსაყრელ მომენტს დაელოდა და ახლა თავისას მიაღწევს“, — დარწმუნებულია ჩვენი რესპონდენტი ადგური. მისივე აზრით, რუსეთი აფხაზეთის შანტაჟს დაიწყებს, ამ გზით საბოლოოდ სასურველს მიაღწევს და აფხაზეთს თავისი ენერგოუსაფრთხოების დავიწყება მოუწევს.

P.S.

აფხაზეთში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზები რიგით მოქალაქეებზე ორჯერ ნაკლებს იხდიან. სადღეისოდ ფიზიკური პირებისთვის ტარიფი 1 კვტ-ში 40 კაპიკს შეადგენს. რუსი სამხედროები კი, რომლებიც სახელისუფლებო ორგანოებთან არიან გათანაბრებულები, 20 კაპიკს იხდიან.

გამოდის, რომ აფხაზეთი, რომელიც დენს რუსული კომპანიებისგან თითქმის 3 რუბლად ყიდულობს, შემდეგ მას რუს სამხედროებს 20 კაპიკად აწვდის.

საქართველო კი, თავის მხრივ, რომელიც ელექტროენერგიის აფხაზეთში გადადინებას აფინანსებს, კომფორტს ჩუქნის არა მარტო რესპუბლიკის მოსახლეობას, არამედ რუს სამხედროებსაც, რომელთა რაოდენობა აფხაზეთში წლიდან წლამდე იზრდება.

ასტანდა ბგანბა

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორს ეკუთვნის და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას

ხაშურის შემოვლითი გზა გაიხსნა

ხაშურის შემოვლით გზაზე ავტომტრანსპორტის მოძრაობა უკვე შესაძლებელია, — აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E60-ის) შემადგენელი, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის პროექტის ნაწილი გაიხსნა. ღონისძიებას პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ვიცე-პრემიერ, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრ მაია ცქიტიშვილთან ერთად დაესწრო.

პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით და ევროკავშირის ფინანსური გარანტიით განხორციელდა და 133 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერის წილი პროექტში 50 მლნ ლარია.

ხაშურის შემოვლითი გზის 13 კმ-იანი მონაკვეთიდან 11.5 კმ-ზე ექსპლუატაციაში შევიდა 4-ზოლიანი გზა, ხოლო დარჩენილი 1.5 კმ-ზე ავტომტრანსპორტი დროებით იმოძრავებს 2-ზოლიან გზაზე. გზის 1.5 კმ-იან მონაკვეთზე დამატებითი 2 ზოლის მშენებლობა ოქტომბერში დასრულდება და ხაშურის შემოვლითი გზის 13 კილომეტრი 4-ზოლიანი იქნება.

ხაშურის შემოვლითი გზა აგარა-ზემო ოსიაურის ბოლო მონაკვეთზე იწყება და არსებულ გზას სურამში მოწყობილ ახალ კვანძთან უერთდება. ამ მონაკვეთზე აშენდა 420-მეტრიანი ხიდი, რომელიც საქართველოში ყველაზე მაღალი ბურჯებით გამოირჩევა.

შემოვლითი გზა მნიშვნელოვნად განტვირთავს ხაშურს საცობებისგან, ტრანზიტული მოძრაობა კი, სრულად ახალ გზაზე განხორციელდება. ხაშურის შემოვლითი გზის საშუალებით მგზავრობის დრო 40-50%-ით შემცირდება და 20 წუთის ნაცვლად 10 წუთში იქნება შესაძლებელი.

ყინულმჭრელი ლექსები,

ანუ „ავად ვარ, როცა არაფერი მტკივა, როცა ყველაფერი მტკივა - კარგად ვარ!“

წარდგენილია გიორგი შარვაშიძის პრემიაზე

„ენა ქართული, ფრთები ქართული, ჰანგი ქართული, ლოცვა ქართული, ბუდეს რომ გავიდგამთ მეცხრე სართულზე, გულზე გასკდება მერვე სართული.

თეთრი ანაფორა ჩავაცვი მეტაფორას, შაშვებს აცვიათ შავი ანაფორა, დასაკარგავი აღარ მაქვს არაფერი, სიკვდილთან იმისთანა კონტრაქტი გავაფორმე“.

შოთა ზოიძემ ლექსების ახალ კრებულს „გულზე დასაყრელი მიწა“ დაარქვა. ავტორი, როგორც ჩანს, ამ მიწით დასამარებას კარგა ხანია შეჩვეულია, შეჭმული აქვს მისი გული ამ მიწას და განოყიერებული, საერთოდ არ აპირებს ფეთქვის შეწყვეტას. ამას რა სჯობია, ასეთი გული მეხის დაცემასაც კი გაუძლებს, ვერაფერს დააკლებს მეხი, მეტი შემოტევისა და ტკივილის ამტანი იქნება. ერთი შეხედვით, თუნდაც გარეგორითაც, ასე გამოიყურება პოეტის გულის ანატომია, სხვაგვარად მას არავითარი უფლება არ ექნებოდა, ხმამაღლა განეცხადებინა თავისი სურვილი და ქვეყნიერება შეეყარა.თუმცა ეს განსაკუთრებული ახმიანება გულისა გვერდზე დარჩებოდა, სადღაც კუთხეში მიიჩურთებოდა, რომ არა იმავე გულიდან წამოსული სიტყვიერების ცეცხლოვანი ლავა, დაუზოგავად რომ გადმოდის ნაპირებიდან და გვატყვევებს.

ბევრი, ძალიან ბევრი ნიავ-ქარითა და შტორმული აბოგოქრებითაა შეზავებული ეს ცეცხლოვანება, ეს ნამდვილად არსებული დრამა, „ყოველთვის, ყოველ დროს“, მიშვებული რომაა სულის გასამწარებლად, საბორკილოდ, ასაკლებ-ასაანცებლად, რომლის მოახლოებასაც ყველაზე უფრო, პოეტური რადარი რომ გრძნობს და ემზადება მასთან საბრძოლველად. ლექსის მთხზველი, უფრო სწორად ლექსად ქცეული კაცი, ჩვეულებრივი მოქალაქე ან გამვლელ-გამომვლელი როცაა, რა უჭირს, რამენაირად გაიტანს თავს, მაგრამ რადარის აკივლებისას ადუღებული კირით სავსე ღრუბლებს რომ უნდა შეუდგეს, „მაშინ ვინღა სთქვას მისი (მათი) საქმე, ვინ სადღა იყოს?“, მით უმეტეს, ამას საკუთარი გამძლეობა-ამტანობის დასადასტურებლად კი არ აკეთებს, არამედ გარემოს, ქვეყანას თუ ქვეყნიერებას აუწყებს, რაც გვჭირს, რატომ გვჭირს, რა ხანგრძლივობის ავადმყოფობა გვაქვს შეყრილი, განვიკურნებით თუ არა და ასე შემდეგ. მაგრამ ამას, ამგვარ შეცხადებებსაც კი, ზუსტად თუ არ დაუყენე ხმა, ზუსტად თუ არ აუფორიაქე სიტყვის მუხლებში ჩამდგარი ქარი ცეცხლის გადასატანად, შენს თუნდაც დაწყვეტილ ნერვებს იქვე დაგიყრის, სადაც იმშობიარე და რაც უნდა ვაუკაცურად იბრაგუნო მკერდზე ხელი, არავინ შემოგხედავს (ვის სცალია შენს შემოსახედად!),მხოლოდ შენი გაძვალტყავებული ბიოგრაფია შემოგრჩება და იკითხე რამდენიც გინდა! რამდენადაც ვატყობ,შოთა ზოიძე არანორმალური ბიოგრაფიის მქონე ნამდვილად უნდა იყოს, მაგრამ ამ არანორმალურობის მაუწყებელი მისი სიტყვამჭრელობა, სიტყვამებრძოლეობა რომაა, უფრო უკეთესი მოწმეობაა, უკეთესად მოჩანს მისი ბიოგრაფიის მწვავედ გაღვივება, უფრო მკაფიოდ გვაჩვენებს ხოლმე, თუ როგორ იცილებს პოეტი ორბიტისაკენ მიმავალ რაკეტებს.

ამ ახალი კრებულის ერთხელ გადაკითხვაც კი გვახვედრებს ზემორე ენერგიებს, დაუშრეტელი წყაროსმაგვარ საბადოს მიმსგავსებია სული პოეტისა. ამიტომაც მხოლოდ თემატურ პირობითობად მიმაჩნია ხსენებული კრებულის სამ ნაწილად დაყოფა („თეთრი ანაფორა“, „აფხაზური საგა“, „გულზე დასაყრელი მიწა“). სინამდვილეში იქ მოთავსებული ლექსად დაფორმატებული შემოტევები, სწორედ რომ იმ წყაროსმაგვარ საბადოდან წამოსული სულის ამოსვლაა, თანაც იმდენად გამეტებით და ლირიკული ნიაღვრით, მართალია, მითითებული გარემო და საგნები სრულიად არ იჩრდილებიან, არ კარგავენ კონკრეტულ სახეს, მაგრამ მეტაფორულობისკენ უფრო მიიწევიან და ასეთად უნდათ ჩვენკენ შემოხედვა. ძნელია განსაზღვრო, შეიძლება არცაა აუცილებელი, რამდენად ფაქიზი და სიფრთხილით დაძაბულია ასეთი ქმნადობა, ასეთად შეხვევა სიტყვების ღადარში, ასე მზის მოქცევა მუჭში, ძნელია და ნურც გავირჯებით ამის დასადგენად. შოთა ზოიძეს ღმერთმა მისცა ამის უფლება და ნიჭი – მისი სულიერი ბიძგები სიტყვების გამწყლეულ კონად კი არ გადახატულიყო ქაღალდზე, არამედ ფეხისადგმისთანავე წამოეწყო მომთაბარეობა და ცდილიყო, რაც შეიძლება მეტი ტერიტორია დაეპყრო. დიახაც, პოეზია, თანაც ჯაჭვის ამწყვეტი და მოუთოკავი, გამოუცხადებლად ომის დაწყებას ჰგავს.სწორედ რომ გამოუცხადებელი ომის ერთ-ერთი ავტორი გახლავთ შოთა ზოიძე. მას მრავალნაირი იარაღის მომმარჯვება შეუძლია, თანაც ძნელად თუ ააცილებს მიზანს. კრებულში იმდენი ტალღაა განფენილი, მართლაც რომ სარჩევში ვარ, ამიტომაც ბედს მივენდობი და „თეთრ ანაფორას“ მივადგები კარზე და მკაცრი რეგლამენტის გამო ასეთ ფორმატს შემოგთავაზებთ:

1. „ცარიელია ჩემი იმედის ტომარა, ჩემი ტომარა სავსეა ჩემი ძვლებით, თავს მოვიკლავდი, იმედი რომ არა, ბარიერს შენი იმედით ვძლევდი.

არ გაშრა ჩემი სისხლიანი პერანგი, ჭრილობას ვიშუშებ ტიბეტური ხავსით, სადაც არ ველოდი, სწორედ იქ ვივარგე, შენი იმედით ვიყავი სავსე.

უიმედო ცხოვრებამ დამასვა დაღი, გაწყვეტილია თაობათა კავშირი, მე დავაპროექტე სემირამიდას ბაღი, ტურისტების მარშრუტები გახშირდა.

მოვიშინაურე ტანადი ხეტიტა, ყველაზე უკეთ იხარა ხეხვალომ, მტირალას ვუყურებ კონცხის ხედიდან, მაგნოლიამ თავი ქალივით დახარა.

მე ვიქნები შენი დიდი იმედი, ჩემგან შორს არის დაღლა და ღალატი, ამ დასკვნამდე იმიტომ მივედი, რომ უფალია ამის გარანტი.

არასოდეს ძალა არ იყო თავზემოთ, ზემოთ არის ერთი მაღალი ღმერთი, ჩვენ ერთმანეთი თვალით გავზომეთ, მე შემიძლია თავის განწირვა შენთვის.

ვერ აღვადგინე თაობათა კავშირი, ჩვენი ერთობის ღირსება და ნიშანი, ამას რომ ვამბობ, გულწრფელი ვარ ბავშვივით, მაგრამ ბავშვივით არა ვარ მშიშარა.

სადაც შენა ხარ, სამშობლო იქ არი, უშენოდ ხელში გველი მიჭირავს, შენთან ვიქნებით მე და ჩემი წიქარა, წიქარა და გიორგი – ვარსკვლავთმიჭუნა!

2. ჩემი გიორგი ვარსკვლავს ეთამაშება, მე კი ბულვარში ჭადრაკს ვთამაშობ,

ბათუმში ქართულად გალობენ შაშვები, შოთა ნიშნიანიძე დავარწმუნე ამაში.

მე სველი პერანგი მზეზე გავაშრე, აქ არი ჩემი ხატი და სახატე, ბულვარში დავდივარ ჭადრაკის სათამაშოდ, არ ვიცი, მადლობა ვის გადავუხადო.

გიორგი ხატავს, შაშვები გალობენ, ბავშვები თამაშობენ, ორკესტრი გუგუნებს, საამურ ჰანგებს შაშვები გვწყალობენ, აქ ვერ შეხვდები გნოლებს და გუგულებს.

გნოლებს და გუგულებს უყვართ ხშირი ტყე, სოკოს მიირთმევენ წეროსწვივიანს, შაშვებმა არ იციან, მე ვარ მათი ტყვე, მათთვის ტექსტები ჩემი დაწერილია.

თეთრია ჩემი მეტაფორის ანაფორა, შენი ანაფორა გიშერივით შავია, კარგად დავწერე და კარგად გავაფორმე, კარგად წერაც თურმე დანაშაულია.

ენა ქართული, ფრთები ქართული, ჰანგი ქართული, ლოცვა ქართული, ბუდეს რომ გავიდგამთ მეცხრე სართულზე, გულზე გასკდება მერვე სართული.

თეთრი ანაფორა ჩავაცვი მეტაფორას, შაშვებს აცვიათ შავი ანაფორა, დასაკარგავი აღარ მაქვს არაფერი, სიკვდილთან იმისთანა კონტრაქტი გავაფორმე.

მე მგონია, არაა ფუჭი შემოთავაზება განწყობის ასაწევ-დასაწევად. ასეთები და უფრო ძლიერი დინებები კრებულში, მიუხედავად მისი მომცროობისა, საძებარი არაა. ყოველთვის ვერიდები ტექნიკურ წვრილმანებზე, თემატურ მრავალფეროვნებებსა და მათ დახარისხებაზე საუბარს. ისიც მესმის, რომ ვერსიფიკაციულ-პოეტიკური მოულოდნელობები რამდენად დიდ როლს თამაშობს ლექსის სიცოცხლისუნარიანობისთვის, რამდენად საჭიროა პოეტური პარფიუმერია საერთოდ (არც მთლად გუშინდელი ვარ!), მაგრამ თუ მხოლოდ მინავლებული კოცონის ტკაცუნი ისმის იმ ლექსიდან, გინდა, მისი გაციებული თვალებისთვის გიყურებია, გინდა, კარგად გაწყობილი მკვდრისთვის. შოთა ზოიძის სიტყვიერ-მუსიკალური სმენადობა ძირითადად აგებულია ქართული კლასიკური ლექსის ქარგაზე, ამ ტიპის ლექსის ზომებზე, მისთვის ასეთი სალექსო გეომეტრია მშობლიურია და სისხლში აქვს გამჯდარი. ამიტომაც ძნელია, თავი დაიხსნას დიდი ხანია დამკვიდრებული მელოდიურობისაგან, თუმცა აქა-იქ, ზოგიერთ ლექსში, განსხვავებული ხმაც მოისმის, თუმცა პოეტის მთავარი საზრუნავი მაინც ლირიკული ღვარცოფის შექმნაა, მის ლექსებში არ დედდება ლირიკული სისხლი, ეს ყველაზე დიდი ბედნიერებაა, მით უმეტეს, როცა ტკივილებით ხარ დასნეულებული და შვებას ამ სისხლის გაღებისას გრძნობ. ამიტომაც გვჯერა პოეტის ნათქვამის: „ავად ვარ, როცა არაფერი მტკივა, როცა ყველაფერი მტკივა – კარგად ვარ!“ ერთი მხრივ, შეიძლება ასე გამომზეურდეს შოთა ზოიძის ლექსის სული. მეორეცაა, მიუხედავად საერთო ლირიკული სარჩულისა, მუსიკალური ტემპერამენტისა, აჩქარებული სუნთქვისა, აშკარად გიპყრობს პოეტის მიერ ამგვარ პოეტურ ცილინდრში მოქცეული მდინარება, დაბეჯითებითი ლაპარაკი, თითქოს ეშინია, წამითაც არ გაგეფანტოს ყურადღება, სხვაგან არ წახვიდე, არ გაითიშო ლექსისგან და თანაც მოგეცეს საშუალება, ტურისტივით ათვალიერო ამ ლექსის სახლის ინტერიერიცა და ექსტერიერიც, უცხოდ თუ საუცხოოდ რომაა მორთული. ასეთი სითამამე კრებულის პირველ ნაწილში უფრო თვალსაჩინოა.

არ მინდოდა თემების გამოცალკავება, მაგრამ აფხაზურ საგას ზურგი ვერ შევაქციე. თითქმის ოცდაათი წელია გაუნელებლად გვაწუხებს აფხაზეთის მონატრება. ვიცი, ბევრი დაიწერა ამ ტკივილზე, კიდევ დაიწერება. შოთა ზოიძესაც ცრემლებად აქვს სულში ჩაგუბებული საქართველოს ეს ულამაზესი მხარე, რაც განუცხადებია კიდეც ამ საგის მომცრო წინასიტყვაობაში, რასაც შემდეგ მისი აფხაზი თუ აფხაზეთში მცხოვრები მეგობრების გახსენებებიც მოჰყვება. ეს ლექსები მართლაც ცრემლებია, გასაქანს რომ არ მოგცემს და შენც აგიწვავს გულის სიმებს.

განსაკუთრებით ახალგაზრდებმა მინდა წაიკითხონ ეს კრებული, ვინაიდან შოთა ზოიძის ყოველ ლექსს დაუცხრომელი ბრძოლის, დაუჩოქველობის ნიშანწყალი ასულდგმულებს. აქ თავმოყრილია ბოლო ორი წლის პოეტური ნიმუშები, თავად პოეტი ცხოვრების ჭირ-ვარამში გამობრძმედილი გახლავთ და რაოდენ აშკარაა მის მხატვრულ ნასიტყვარში სიჭაბუკის შემობრუნება თუ მარად უკვდავი სიჭაბუკე („სიჭაბუკე და ლექსი ერთია“), რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია ავულკანება-აბობოქრება, რომ არ წაგერთვას თვალისჩინი, რომ არ გამოგელიოს მუხლებში ძალა, რომ არასდროს იფიქრო სიკვდილზე, რომ სულ გიყვარდეს.

ამიტომაც უდევს შოთა ზოიძეს თავისი წილი წუთისოფელი ტყვიაგაუმტარ ჩანთაში, ამიტომ შეუძლია თქვას: „ლუდივით მოსვა მტკვარი აგვისტომ“, ამიტომ ტრიალებს მის პოეზიაში მოხნული მიწის სურნელი, ამიტომ არ ასვენებს უამრავი ლამაზმანისაგან დახანჯლული გული, ამიტომ ამბობს ქედშეუხრელად:

„ბევრჯერ დამადეს პირზე საკეტი, მე მზად ვიყავი მუდამ იმ დღისთვის, მაგრამ მე მაინც იმას ვაკეთებ, რასაც მკარნახობს ჩემი სინდისი.

ბევრჯერ დამადეს პირზე ბოქლომი, სიტყვის უფლება ბევრჯერ წამართვეს, ვერ მომისყიდა ვერვინ ოქროთი და ვერაფრით ვერ გამაწარმართეს.

ცხოვრება გარბის, როგორც ღვარცოფი, დღეს ჩვიდმეტი წლის სამი მარტია, მტერს ვაპატიე არაკაცობა, მტერმა კაცობა არ მაპატია!“

ისევ გულზე დასაყრელ მიწას ვუბრუნდები... იქნებ არ ვაჭარბებ – მიწას ვერსად გავექცევით, არც ის დაგვემალება, მაგრამ შოთა ზოიძეს სხვა მთვარე და მზე უხარებს გულს, მიწაა მთლიანად ყველაფერი: მისი პოეზია, მისი ცხოვრების ყოველი დღე, ყოველი გათენება-დაღამება, იგი თვითონაც მიწაა, ასე ნოყიერად რომ იცოცხლა, ასე რომ ნედლობს, იქნება და იქნება...

გია ხოფერია

ვიდრე პუტინი ცოცხალია, ნატოს „ღია კარი“ სულ დაკეტილი გვექნება!

ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორია, გამოწვევები და პერსპექტივა

ბუქარესტის სამიტიდან რამდენიმე თვეში, რუსეთი საქართველოში შეიჭრა, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საკუთარი ძვეითი ჯარი განათავსა და ისინი დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარა.

ომის შემდეგ საქართველოს ნატოსთან ურთიერთობა ახალ ფაზაში გადავიდა და ალიანსთან თანამშრომლობა გაღრმავდა. შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია და თბილისმა „ყოველწლიური ეროვნული პროგრამის“ განხორციელება დაიწყო, რომელიც თავდაცვის სფეროს და ინსტიტუციების რეფორმას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ „ეროვნულ პროგრამას“ მხოლოდ „მაპის“ მქონე ქვეყნები ასრულებენ. ამ მხრივ საქართველო გამონაკლისია.

ატლანტიკური საბჭოს ევრაზიის ცენტრის დირექტორი **ჯონ ჰერბსტი** ამბობს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება დასავლეთის ინტერესებში შედის. მისი თქმით, **„შეერთებული შტატებისთვის, ევროპისთვის, ნატოსა და მსოფლიოსთვის, მნიშვნელოვანია კავკასიაში არასტაბილურობა არ იყოს. მოსკოვის უარი, რომ აღიაროს კავკასიის ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა, პრობლემას წარმოადგენს. საქართველო რომ ნატოს წევრი იყოს, მოსკოვი საქართველოს სუვერენიტეტით ვერ ითამაშებდა ისე, როგორც ამას ახლა აკეთებს და ეს ჩვენს ინტერესშია“** — უთხრა მან „ამერიკის ხმას“.

2008 წელს საქართველოში ჩატარებული პლებისციტის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 73 პროცენტმა მხარი დაუჭირა ნატოში გაწევრიანებას. გამოკითხვები აჩვენებს, რომ ალიანსის წევრობისადმი მხარდაჭერა დღემდე მაღალია. თუმცა, მათ შორის, ვინც ნატოს არ ემხრობა, უმეტესობა ამის მიზეზად რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის საშიშროებას ასახელებს.

ჯონ ჰერბსტი პასუხად ამბობს, რომ რუსეთი ნატოს ფაქტორის გარეშეც მიმართავდა სამხედრო აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ.

„პრობლემა ამ შეხედულებაში ისაა, რომ მოსკოვმა სამხედრო ოპერაციები საქართველოს წინააღმდეგ იმ დღიდან დაიწყო, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა: შევარდნაძის მკვლელობის მცდელობები და, რა თქმა უნდა, რუსეთის მიერ სეპარატისტული განწყობების მხარდაჭერა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ომს მანამდე აწარმოებდა, სანამ რაიმე საუბარი დაიწყებოდა საქართველოს ნატოში ინტეგრაციაზე“ — განაცხადა მან.

დასავლეთის ქვეყნებს რუსეთის მიმართ ერთიანი პოზიცია არ აქვთ. ნატოს შიგნით კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებმაც საბჭოთა დომინაცია თავად გამოსცადეს, ემხრობიან ახალი წევრების მიღებას მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ დედაქალაქში ამაზე ყოყმანობენ.

განსხვავებულია შეხედულებები შეერთებული შტატების შიგნითაც, სადაც ნაწილი ფიქრობს, რომ ნატოს გაფართოება მოსკოვის შეკავების საუკეთესო გზაა, სხვები კი კრემლის ინტერესების გათვალისწინებისკენ მოუწოდებენ.

ევროპის პოლიტიკის ანალიზის ცენტრის მკვლევარი და აშშ-ის ყოფილი ელჩი ნატოში **კურტ ვოლკერი** ამბობს, რომ დასავლეთი რუსეთს სათანადოდ ვერ აფასებს.

„ვფიქრობ, ჩვენ ვერ ვისწავლეთ გაკვეთილი რუსეთის ქცევიდან. დასავლეთში არსებობს ტენდენცია, რომ თუ რუსეთთან ურთიერთობებში პრობლემაა, დასავლეთი საკუთარ თავს ადანაშაულებს და ფიქრობს, რომ რუსეთს ხელი უნდა გაუწოდოს, რამე თვითონ უნდა გააკეთოს. ამ მოსაზრებას სრულიად არ ვიზიარებ. იმის მიზეზი, თუ რატომ გვაქვს რუსეთთან პრობლემა, თავად რუსეთის ქცევაა. რუსეთი უნდა ეცადოს მოლაპარაკებების მაგიდასთან მოსვლას და უნდა შეწყვიტოს ის აგრესიული ქმედებები, რომლებმაც შექმნილი ცუდი ურთიერთობა განაპირობა“ — აღნიშნავს ვოლკერი.

აზრთა სხვადასხვაობა ალიანსის გაფართოებაზე არსებობდა 1990-იან წლებში, როცა პოსტკომუნისტური ქვეყნების ნატოში გაწევრიანება განიხილებოდა. ბალტიისპირეთის ქვეყნების ნატოში შესვლის მაგალითმა აჩვენა, რომ მოსკოვი ნატოს წევრების წინააღმდეგ გალაშქრებისგან თავს იკავებს. მოგვიანებით, უკრაინის კრიზისმა კი გამოკვეთა, რომ რუსეთისთვის საფრთხეს არა საკუთრივ ნატოს გაფართოება, არამედ მის მეზობლებზე დომინაციის დაკარგვაა.

ბრუკინგსის ინსტიტუტის მკვლევარს **ჯეიმი კირჩიკს** მიაჩნია, რომ ნატოს გაფართოების შეჩერება რუსეთს არასწორ გზავნილს მისცემს.

მისი მტკიცებით, **„რუსეთი ნატოს არცერთ წევრს თავს არ დასხმია. ნატო წარმატებულია. მსოფლიოს ისტორიაში ის ყველაზე წარმატებული ალიანსია სწორედ ამ მიზეზით. იმის გათვალისწინებით, რასაც რუსეთი აკეთებს რეგიონში, ევროპასა და ევრაზიაში, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, რომ შეერთებული შტატები და მისი ნატოს მოკავშირეები ალიანსის გაფართოების გეგმებზე უარს არ ამბობენ. თუ პროცესს შევანელებთ, ეს იქნება არასწორი გზავნილი რუსებისთვის, რომ მათ შეუძლიათ ვაკუუმი შეავსონ“** — აცხადებს კირჩიკი.

დღეს ბალტიისპირეთის ქვეყნები საქართველოს ნატოში გაწევრიანების ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერები არიან. ცოტა ხნის წინ, საქართველოს ნატოში მიღებას საჯაროდ დაუჭირა მხარი თურქეთმაც, მოკავშირემ, რომლის დაახლოება მოსკოვთან ალიანსის კიდევ ერთი თავსატეხია.

ალიანსის შიგნით ბევრი უთანხმოებაა. ცოტა ხნის წინ შეერთებულმა შტატებმა გერმანიიდან ჯარების ნაწილის გაყვანის გადაწვეტილება მიიღო. ამის მიზეზად პრეზიდენტმა ტრამპმა გერმანიის მიერ თავდაცვაზე არასაკმარისი დანახარჯები დაასახელა. მაგრამ ტრამპი არაა პირველი პრეზიდენტი, რომელიც ევროპელებს თავდაცვაზე მეტის გაღებისკენ მოუწოდებს და მათ რუსეთზე დამოკიდებულების გამო აკრიტიკებს.

საქართველოს გზა ნატოსკენ

ედუარდ შევარდნაძემ 2000 წელს გამოცემა „ფაინენშალ თაიმსთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველო ნატოს კარზე ხმამაღლა დააკაკუნებდა.

2001 წლის თეთრმეტი სექტემბრის შემდეგ, ამერიკა ახლო აღმოსავლეთში, ტერორიზმთან გლობალური ომის ფარგლებში, აქტიურად ჩაერთო. ტერაქტიდან რამდენიმე კვირაში შევარდნაძე შეერთებულ შტატებს ეწვია და განაცხადა, რომ მზად იყო ეთანამშრომლა შეერთებულ შტატებთან ამ საქმეში.

სწორედ აქედან იწყება საქართველო-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობა და წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების გაძლიერებას და პანკისის ხეობის სტაბილიზაციას ისახავდა მიზნად.

საქართველომ ნატოსთან თანამშრომლობა 1992 წელს ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრობით დაიწყო და მოგვიანებით გახდა ნატოს ინიციატივის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ წევრი. ალიანსთან ურთიერთობა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ გააქტიურდა. საქართველომ ხმამაღლა განაცხადა, რომ სურდა, ალიანსის წევრი გამხდარიყო.

რევოლუციის შემდეგ თბილისში ახალი პოლიტიკური ელიტის მთავარი მამოძრავებელი სწორედ დასავლეთთან დაახლოება გახდა. 2004 წელს საქართველომ ალიანსისგან „ინდივიდუალური პარტნიორობის“ სამოქმედო გეგმა მიიღო. 2006 წელს კი ბრიუსელმა საქართველოს „ინტენსიური დიალოგის“ დაწყება შესთავაზა, რომლითაც საქართველოს წევრობის კრიტერიუმი უნდა განესაზღვრა. ეს ორი ნაბიჯი ალიანსში გაწევრიანებისთვის საჭირო დღემდე დადგენილი ფორმალური მოთხოვნაა, რომელიც ქვეყანამ წევრობის სამოქმედო გეგმის, ეგრეთწოდებული, მაპის მიღებამდე უნდა გაიაროს.

2004 წელს საქართველო ჩაერთო ნატოს ავღანეთის ოპერაციაში, სადაც შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ, ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი ჯარისკაცი ჰყავდა გაგზავნილი.

ჯორჯ ბუშ უმცროსის ადმინისტრაცია აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს და 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ცდილობდა ევროპელი მოკავშირეების დარწმუნებას, რომ საქართველოს „მაპი“ მიეღო.

სამიტამდე, თეთრ სახლში სიტყვით გამოსვლისას, პრეზიდენტმა ბუშმა თქვა, რომ „საქართველოს მისწრაფებები ბუქარესტის სამიტზე გადაწყდება“ და სამიტი საქართველოსთვის კრიტიკული მნიშვნელობის იყო. პრეზიდენტმა კარგად იცოდა, რომ „მაპი“ წევრობას არ ნიშნავდა. **„მაპი“ არის პროცესი, რომელიც ნატოს (ასპირანტ) წევრებს მისცემს საშუალებას, საბოლოო წევრობისთვის მოემზადონ. ვფიქრობ, ნატოს საქართველოს წევრობა არგებს და ვფიქრობ, საქართველოს ნატოს წევრობა სარგებელს მოუტანს“** — უთხრა მაშინ პრეზიდენტმა ბუშმა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს.

თუმცა, ვაშინგტონი წინააღმდეგობას აწყდებოდა გერმანიის, საფრანგეთის და იტალიის მხრიდან.

ბუქარესტში, დასავლეთის ქვეყნები ვერ შეთანხმდნენ საქართველოსთვის მაპის მინიჭებაზე, თუმცა მიაღწიეს კომპრომისულ გადაწყვეტილებას და სამიტის დეკლარაციაში ჩაიდო პირობა, რომ საქართველო გახდებოდა ნატოს წევრი. ამ ნაბიჯს მოსკოვის კრიტიკა მოჰყვა.

პუტინი ბუქარესტის სამიტზე ჩავიდა კიდეც და ალიანსს საქართველოს და უკრაინის წევრობის წინააღმდეგ მოუწოდა.

ალიანსს, რომელმაც ამერიკის ლიდერობით, 70 წლის მანძილზე უზრუნველყო უსაფრთხოება და რუსეთის შეკავება ევროპის კონტინენტზე, მოსკოვი მთავარ მეტოქედ აღიქვამს. კრემლი დღემდე ცდილობს ე.წ. „ახლო საზღვარგარეთი“ მისი გავლენის სფეროში დატოვოს და არ დაუშვას ამ ქვეყნების დასავლეთში ინტეგრაცია. სწორედ ამიტომ, მოსკოვის ერთ-ერთი მთავარი საგარეო პოლიტიკური მიზანი ნატოს ერთიანობის შერყევაა.

აწ გარდაცვლილი ამერიკელი დიპლომატი და ცნობილი ავტორი **რონ ასმუსი წერდა: „რუსეთი არამარტო ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მცდელობას წასულიყო დასავლეთისკენ, არამედ ახალი გავლენის სფეროზე აყენებდა მოთხოვნას, აპროტესტებდა ევროპული უსაფრთხოების სისტემის წესებს, რომლებიც მისი პერსპექტივიდან ლეგიტიმაციას ახდენდა და ხელს უწყობდა ნატოს გაფართოებას,“ ასმუსი: „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო: საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი“.**

ნატოს სხვადასხვა სამიტზე მოკავშირეები ადასტურებენ, რომ ნატოს კარი ღიაა და საქართველო გახდება ალიანსის წევრი. 2014 წელს საქართველომ უელსის სამიტზე „არსებითი პაკეტი“ მიიღო. ეს ინსტრუმენტი საქართველოსთვის პირველად შეიქმნა. 2015 წელს კი ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი გაიხსნა. აქტიურად განიხილება ასევე საქართველოს როლი, ალიანსის შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტშიც.

საქართველოში კი ამ ნაბიჯებს ხშირად თარგმნიან როგორც „მაპზე“ უკეთესს. თუმცა, რეალური მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ იღებს ნატოს ხუთოსანი ასპირანტი წევრობის სამოქმედო გეგმას, არა თბილისის რეფორმების ნაკლებობა — თუმცა ესეც არანაკლებ მნიშვნელოვანია — არამედ ალიანსის მოსკოვთან ურთიერთობებია.

ნატოს გენერალური მდივნები აცხადებენ, რომ არცერთ მესამე ქვეყანას — და აქ მოსკოვი იგულისხმება ხოლმე — არ აქვს უფლება ჰქონდეს ვეტო იმაზე, თუ ვინ გახდება ალიანსის წევრი. თუმცა, ამის მიუხედავად, რუსეთზე პირდაპირ საუბრისგან ბევრი თავს იკავებს.

ანი ჩხიკვაძე

ავსტრია რუს დიპლომატს ქვეყნიდან აძევებს

ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ რუსი დიპლომატის ქმედებები დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციას ეწინააღმდეგება.

ადგილობრივი გამოცემა **Kronen Zeitung**-ის ინფორმაციით, საქმე ეხება ერთ-ერთ მაღალტექნოლოგიურ კომპანიას, საიდანაც რუსი დიპლომატი ინფორმაციის მიღებას ავსტრიის მოქალაქის დახმარებით ცდილობდა.

„შერეკილები“ ზეცისკენ შეუპოვრად მიიწევენ!

რა ხდება მარსზე? რატომ მიფრინავენ წითელ პლანეტაზე აშშ-ის, ჩინეთისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების მისიები?

2020 წლის შემოდგომამდე მარსზე ერთდროულად სამი ქვეყნის მისია გაემგზავრება. საქმე ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჩინეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს. თუ NASA-მ თავისი მისია მარსზე უკვე არაერთხელ გაგზავნა, ჩინეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები ამ საქმეში ახალბედები არიან. თუმცა მრავალწლიანი გამოცდილების არქონის მიუხედავად, მათი პროგრამებიც საკმაოდ წარმატებულია. სამივე მარსიანული მისიის ამოცანები, მათ შორის არსებული განსხვავებები და ტექნიკური დეტალები DEUTSCHE WELLE-მ დააზუსტა.

არის თუ არა მარსზე სიცოცხლე?

მარსზე დაგეგმილ 2020 წლის მისიას, რომელსაც ამერიკული აეროკოსმოსური სააგენტო ასრულებს, Perseverance-ი („შეუპოვრობა“) ეწოდა. ეს სახელწოდება ამერიკელი სკოლის მოსწავლეების მიერ გაგზავნილი 28 ათასი განაცხადიდან შეირჩა მას შემდეგ, რაც NASA-მ 2019 წელს გამოაცხადა კონკურსი „მოიფიქრე როვერის სახელი“. მოხალისე ჟიურის წევრებმა ფინალისთვის ხუთი ვარიანტი შეარჩიეს, რის შემდეგაც NASA-ს ვებგვერდზე ხუთი დღის განმავლობაში ხმის მიცემა მიმდინარეობდა. გამარჯვებულის ტიტული მეშვიდეკლასელმა ალექსანდერ მაზერმა მოიპოვა. ახლა მას შეუძლია ოჯახთან ერთად ფლორიდის კოსმოდრომიდან კოსმოსური ხომალდის გაშვებას თვალყური ადევნოს. 155 ნახევარფინალისტის სახელი კი დატანილი იქნება სპეციალურ ჩიპზე, რომელიც მარსზე როვერის მეშვეობით გაფრინდება.

მისიის გაშვება 22 ივლისიდან 11 აგვისტომდე იგეგმებოდა, მაგრამ კორონავირუსის პანდემიის გამო გადაიდო. მარსმავალის გაგზავნის თარიღიდან გამომდინარე, მას წითელი პლანეტისთვის 31 იანვრიდან 18 თებერვლამდე უნდა მიეღწია!.. დაშვების ადგილად შერჩეული იყო ჯეზეროს კრატერი, რომელიც მარსიანული ეკვატორიდან ჩრდილოეთით მდებარეობს. ექსპედიციის მთავარი ამოცანაა გაარკვიონ, არის თუ არა მარსზე სიცოცხლე. მისიის მიზნებზე საუბრისას, NASA-ში აღნიშნავენ, რომ 23 კამერით აღჭურვილი მარსმავალი Perseverance-ი „წყალს გაჰყვება“. დაშვების ამ კონკრეტულ ადგილზე არჩევანის გაკეთებაც სწორედ ამით აიხსნება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ჯეზეროს კრატერის მიდამოში დამშრალი მდინარის დელტა და ტბის ფსკერი მდებარეობს. თანამედროვე ტექნიკური ინსტრუმენტებით აღჭურვილი მარსმავალი (მისი წონა 1043 კილოგრამს შეადგენს) მთისა და ნიადაგის ნიმუშებს შეაგროვებს. ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოიქმნა იმ დროს, როდესაც წითელ პლანეტაზე წყალი იყო და შესაბამისად, არის ალბათობა, რომ აღნიშნული სინჯები ძველი ცხოვრების ნიშნებსაც შეიცავს.

Perseverance-ი მოწინავე სანავიგაციო სისტემით, პანორამული და სტერეოსკოპული კამერებით არის აღჭურვილი. მასზე განთავსებულია MOXIE-ს ექსპერიმენტული მოწყობილობა, რომელიც მარსიანული ატმოსფეროდან (ის ძირითადად ნახშირორჟანგისგან შედგება) ჟანგბადის მოპოვებას შეეცდება. გარდა ამისა, მას შეუძლია გაუშვას უპილოტო მფრინავი აპარატი Mars Helicopter-ი, რათა მიმდებარე ტერიტორია უფრო დეტალურად გამოიკვლიოს. ის ორი მიკროფონითაც არის აღჭურვილი. NASA-ში იმედოვნებენ, რომ ეს ყველაფერი Perseveranc-ს საშუალებას მისცემს **„შეეხოს, გამოსცადოს და ბოლოს და ბოლოს, მოისმინოს მარსის ბგერები“.**

მთისა და ნიადაგის ყველა ნიმუში, რომელსაც მარსმავალი ბურღისა და რობოტიზებული ხელის მეშვეობით მოიპოვებს, ლითონის სტერილურ კონტეინერებში მოთავსდება და პლანეტის ზედაპირზე დარჩება. დედამიწაზე მათი ტრანსპორტირებისთვის კი NASA მორიგ მისიას 2026 წელს გეგმავს.

რა უნდა ჩინეთს? დაეწიოს და გაუსწროს ამერიკას!

ჩინურ ექსპედიციას Tianwen-1-ი („ზეცისკენ მიმართული კითხვები“) ეწოდება. ეს არის ჩინელი პოეტის ციუ იუანის პოემის სახელწოდება. ის დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 340-278 წლებში მოღვაწეობდა და ძველი ჩინეთის ერთ-ერთ უდიდეს პოეტად ითვლება. სახელის შესარჩევი კონკურსი 2016 წლის აგვისტოს ბოლოს დაიწყო. გამარჯვებული სპეციალურმა ჟიურიმ 36 ათასამდე განაცხადიდან შეარჩია და საბოლოოდ ეს პროცესი ონლაინ კენჭისყრით დასრულდა. მისიის სახელწოდება ოფიციალურად 2020 წლის 24 აპრილს (ამ დღეს ჩინეთში კოსმონავტიკის დღე აღინიშნება) გამოცხადდა.

ჩინური კოსმოსური აპარატის გაშვება 23 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით, ჰაინანის კუნძულზე მდებარე ვენჩანის კოსმოდრომიდან იგეგმებოდა... დაშვების ადგილად შერჩეული იყო მარსიანული დაბლობის რაიონი უტოპია, რომლისთვისაც ინტერპლანეტარულ ზონდს 2021 წლის თებერვალში უნდა მიეღწია.

NASA-ს პროგრამის მსგავსად, ჩინური მისიის მიზანია მარსზე სიცოცხლის კვალის პოვნა და ასევე იმის გაგება, შეიძლება თუ არა მომავალში წითელ პლანეტაზე ატმოსფერო კოლონიზაციის შესაფერისი გახდეს. თუმცა ჩინეთისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია კოსმოსურ სფეროში თავი დაიმკვიდროს, მის მთავარ კონკურენტს დაეწიოს და შეძლებისდაგვარად გაუსწროს კიდეც.

ამიტომაც მისია Tianwen 1 უფრო ამბიციურია, ვიდრე — ამერიკული. გეგმის თანახმად, მარსზე უნდა მოხვდეს არა მარტო როვერი, არამედ ორბიტული აპარატიც, რომელიც კამერებისა და რადარების მეშვეობით პლანეტას შეისწავლის. ჩინური მარსმავალი ამერიკულ როვერზე ოთხჯერ მსუბუქია. მისი წონა დაახლოებით 200 კილოგრამს შეადგენს. მასზე არსებული რადიოლოკაციური სადგური საშუალებას იძლევა მარსის ზედაპირის ქვეშ 100 მეტრის სიღრმეში ჩააღწიოს და მისი გეოლოგიური სტრუქტურა შეისწავლოს. მას ასევე შეუძლია ნიადაგის შემადგენლობას ქიმიური ანალიზი ჩაუტაროს და ბიომოლეკულები მოიძიოს.

გარდა ამისა, ჩინური მარსმავალი სანავიგაციო და ტოპოგრაფიული კამერებით, მეტეოროლოგიური ცვლილებების მოწყობილობითა და ორი დეტექტორით არის აღჭურვილი. რადიოლოკაციური სადგურის არსებობა ჩინეთის ექსპედიციის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ფაქტორია: მსგავსი მოწყობილობა წითელ პლანეტაზე პირველად აღმოჩნდება.

რა მიზანი ამოძრავებს არაბთა გაერთიანებულ საამიროებს?

არაბთა გაერთიანებული საამიროები აპირებს გახდეს პირველი არაბული ქვეყანა, რომელიც ინტერპლანეტარულ ფრენას განახორციელებს. ამ ქვეყნის პროგრამას „ნორე“ („იმედი“) ეწოდება. მისი მეორე სახელია „საამიროების მარსიანული მისია“. ორბიტული აპარატი, რომელიც მარსზე იაპონური კოსმოდრომიდან გაფრინდება, დუბაის მუჰამედ ბინ რაშიდის კოსმოსურ ცენტრში კოლორადოს უნივერსიტეტის ატმოსფერული და კოსმოსური ფიზიკის ლაბორატორიასთან თანამშრომლობით შეიქმნა. მისი გამშვები „ფანჯარა“ 15 ივლისიდან 13 აგვისტომდე ღია იყო... ბუნებრივია, დღესაც ღიაა! კოსმოსურ აპარატს იაპონური რაკეტების მეშვეობით გაუშვებენ.

ამერიკული და ჩინური კოსმოსური პროგრამებისგან განსხვავებით, არაბთა გაერთიანებული საამიროების მისიის მიზანი უფრო მოკრძალებულია. „ნორე“ მარსის ატმოსფეროს ორბიტიდან დააკვირდება, რათა მთელი წლის განმავლობაში წითელი პლანეტის ყველა რეგიონის კლიმატის პირველი სრულყოფილი სურათი შექმნას. კოსმოსური ზონდი ასევე პირველად შეისწავლის მარსის ატმოსფეროს ქვედა ფენებს, სადაც რეალურად მარსიანული ამინდი (მტვრის ქარიშხლის ჩათვლით) იქმნება. ხომალდი სამი კამერით არის აღჭურვილი და მათი საშუალებით შეუძლია წითელი პლანეტის ატმოსფეროს ხილულ, ინფრაწითელ და ულტრაიისფერ დიაპაზონში დააკვირდეს.

არაბთა გაერთიანებული საამიროებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მარსის ორბიტას მისიამ ქვეყნის დაარსებიდან 50 წლის იუბილემდე მიაღწიოს. ეს თარიღი 2021 წლის 2 დეკემბერს აღინიშნება. ახალი კოროვირუსის პანდემიის შედეგად გამოწვეული გაუთვალისწინებელი გარემოებებისგან დაზღვევის მიზნით, კოსმოსური აპარატი და პროგრამის ზოგიერთი მონაწილე იაპონიაში დათქმულ ვადაზე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 2020 წლის აპრილის დასაწყისში გაიგზავნა. დაგეგმილ დროზე ადრე. თუ არაბთა გაერთიანებული საამიროების მისიის გაშვება ამა თუ იმ მიზეზით ვერ მოხერხდა, მორიგ „ფანჯარას“ კიდევ ორი წელი უნდა ელოდონ.

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ სამეცნიერო მისიის პარალელურად, ამ გეგმის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ქვეყნის ეკონომიკისთვის ახალი ბიძგის მიცემა. ხელისუფლების წარმომადგენლები ამ თემაზე ღიად საუბრობენ. ისინი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ეკონომიკასთან ინტეგრაციაზე ამახვილებენ ყურადღებას. გარდა ამისა, პროგრამა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების წახალისებას, მეცნიერებისა და კვლევების მიმართ მათი ინტერესის გაზრდას ითვალისწინებს.

„იმედინიუსი“

მაჰათმა განდის სათვალე – აუქციონზე

ბრიტანულ კოლონიალიზმთან მებრძოლის, გამოჩენილი ინდოელი საზოგადო მოღვაწის მაჰათმა განდის სათვალე აუქციონზე 340 ათას დოლარად გაიყიდა.

სააუქციონო სახლ East Bristol Auctions-მა სათვალე 21 აგვისტოს გაყიდა. სათვალის ბოლო მფლობელს სათვალე ბიძისგან ერგო, რომელიც 1910-1930-იან წლებში სამხრეთ აფრიკაში მუშაობდა, მაშინ როდესაც ქვეყანაში მაჰათმა განდიც ცხოვრობდა.

„შესაძლოა, ეს ყველაზე ცნობილი სათვალე და ყველაზე ძვირადღირებული ისტორიული ლოტია, რაც კი ოდესმე გვქონია. როდესაც მფლობელს ვუთხარი, რომ სათვალე 20 ათას დოლარად ფასდება, მას ძალიან გაუკვირდა. საბოლოო ჯამში, სათვალე საწყის ფასთან შედარებით 17-ჯერ უფრო ძვირად გაიყიდა“, — აცხადებს East Bristol Auctions-ის წარმომადგენელი ენდრიუ სთოუი. მანამდე სთოუიმ განაცხადა, რომ ვიღაცამ სათვალე მის საფოსტო ყუთში დატოვა. სათვალეს თან ახლდა წერილი, რომელშიც ეწერა, რომ ეს მაჰათმა განდის სათვალეა.



სეულში პირბადის ტარება სავალდებულოდ გამოაცხადეს

სამხრეთ კორეის დედაქალაქში პირბადის ტარება როგორც შენობაში, ისე გარეთ მდებარე საჯარო სივრცეებში სავალდებულო იქნება. შესაბამისი გადაწყვეტილება სეულის ადმინისტრაციამ კორონავირუსის შემთხვევების მატების გამო მიიღო. სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა მუნ ჯე ინმა თავის მრჩევლებთან საუბარში არ გამორიცხა, რომ ქვეყანაში საფრთხის უმაღლესი დონის გამოცხადება გახდეს საჭირო.

„თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ვირუსის გავრცელების შეჩერებას, მაშინ აუცილებელი იქნება სოციალური დისტანცირების მესამე ეტაპზე გადასვლა“, — განაცხადა სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა.

◎ ვულოცავთ, მაგრამ...

კურიოზი ქართულად

ახლახან ქართულ პრესაში, მათ შორის – ჩვენ გაზეთში გამოქვეყნდა გულისტკივილით აღსავსე წერილი, რომლის ავტორებიც – ვეტერანი ქართველი მუშკეტერები, საქვეყნოდ ამხელდნენ ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის თავკაცებს უკეთურ საქმიანობასა და სპორტის აღნიშნულ ვაჟკაცურ სახეობაში თანამემამულეთა თაობების მიერ ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული სასახელო ტრადიციების შებღალვის მცდელობაში.

ბუნებრივია, ვიმედოვნებდით, რომ აღნიშნულ სუსხიან სტრიქონებსა და დამსახურებული ძველი გვარდიის მიერ სამზეოზე გამოტანილ სატკივარს ზემდგომთა მხრიდან სათანადო რეაგირება მოჰყვებოდა, მაგრამ, ხომ გსმენიათ – რა დაგკარგვია, რას ეძებ...

როგორც ამ დღეებში შევიტყვეთ, ფედერაციის პრეზიდენტს, პარალელურად – საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს მერაბ ბაზაძეს სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა.

რასაკვირველია, ვულოცავთ, მაგრამ იმასაც ვიტყვით, რომ სწორედ ასეთ შემთხვევაზეა ნათქვამი – ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

დიახ, საფარიკაო ბილიკების დიდოსტატთა მიერ ფაქტებით გაჯერებული პოზიციის იგნორირება და მათ საფუძვლიან პრეტენზიებზე წაყრუება ძნელია სხვაგვარად შეაფასო, თუ არა ერთი წლით გადადებული ტოკიოს ოლიმპიადის წინ ბატონი მერაბისთვის კოჭის გაგორება და დასახელებული სტატიის სულისკვეთებაზე თვალის შეგნებულად დახუჭვა.

ვის – ვის და ქართული სპორტის მამებს არ უნდა ესწავლებოდეთ, რომ სამამულო ფარიკაობის იმ საამაყო ავტორიტეტს, ზემოთ რომ ვახსენეთ, მერაბ ბაზაძის ვაჟზე, ნაკრების ლიდერ სანდრო ბაზაძეზე არანაკლებ აღიარებული ვარსკვლავები იხვეჭდნენ, ასე რომ, ნუგზარ ასათიანის, გურამ კოსტავასა და ვლადიმერ აფციაურის სამშობლოში მაამებლობას, მამა-შვილობასა (რა თქმა უნდა, სარბიელზე) და მე ვარ და ჩემი ნაბადის ფაქტორს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი. უფრო კონკრეტულად, თეთრს თეთრი დაერქვას და შავს – შავი!

გია პლატონიშვილი

◎ რაგბი

ისევ დროებითი

საქართველოს **რაგბის კავშირს პრეზიდენტის მოვალეობის ახალი შემსრულებელი ჰყავს. ამ დღეებში გამართულ გამგეობის სხდომაზე მისმა წევრებმა ცნობად მიიღეს გიორგი გორგასლიძის განცხადება კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.**

იმავე სხდომაზე სრკ-ის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად კავშირის ვიცე-პრეზიდენტი **თორნიკე გოგებაშვილი** აირჩიეს.

შეგახსენებთ,რომ გიორგი გორგასლიძემ, რომელიც გოჩა სვანიძის შემდგომ რაგბის კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო, თანამდებობა 14 აგვისტოს დატოვა.

აღსანიშნავია, რომ 32 სარაგბო სუბიექტიდან 31-მა გუნდმა საინიციატივო ჯგუფი შექმნა ,რომლის წევრებიც საქართველოს პრემიერ-მინისტრს შეხვდნენ.

ის ერთი კლუბი „ლელოა“, რომლის დამფუძნებელიც რაგბის კავშირის გამგეობის წევრია.

გეჟან დოლიძე

◎ ოკეანის გაღმა

ლიდერის ფაქტორი



ეტყობა, ლეგენდარული არვიდას საბონისის ვაჟის – ტრავმირებული დომანტას საბონისის გარეშე „ინდიანა“ ნბა-ს არაფრით გამორჩეული კლუბია. არადა, როგორ მშვენივრად იწყებოდა ყველაფერი – გემახსოვრებათ, რომ „პეისერზმა“ ღირსეულად ჩაატარა რეგულარული სეზონი და მის ფინიშამდე რამდენიმე ტურით ადრე მოიპოვა პლეი-ოფის საგზური.

გაჭიანურებული კორონავირუსის პანდემია გოგა ბითაძის გუნდის ქომაგებს იმედს უტოვებდა, რომ დაშავებული ლიეტუველი ლიდერი იარებს მოიშუშებდა და პარტნიორებს სწორედ ყველაზე საჭირო მომენტში დაუბრუნდებოდა, მაგრამ ექიმთა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა – ნეით მაკმილანის შეგირდები აღმოსავლეთის კონფერენციის მეოთხედფინალურ სერიას „მაიამისთან“ უკვე 0:3-ს აგებენ და შვებულებაში არასასურველი გასვლისგან ერთი დამარცხებაღა აშორებთ.

მეტოქეთა მესამე შეხვედრის ბედი ამჯერადაც „ჰითის“ უკანახაზელებმა გადაწყვიტეს: **ჯეიმს ბატლერი** – 27 ქულა, **გორან დრაგიჩი** – 24 ქულა. ამ ფონზე, მართალია, წაგებულთა სნაიპერმა **მალკოლმ ბროგდონმა** გაცილებით შედეგიანად ითამაშა – 35 ქულა, მაგრამ ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა გაზაფხული ვერც იმ საღამოს მოიყვანა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ევროტურნირები

ბავარიული სასწაული

55 წლის ჰანს-დიტერ ფლიკის სამწვრთნელო დებიუტი ტრიუმფით დასრულდა. საოცარია, როგორ მოასწრო დებიუტანტმა სპეციალისტმა ნახევარი სეზონის განმავლობაში მიუნხენის „ბაიერნისათვის“ გერმანული ფეხბურთისთვის დამახასიათებელი ღირსებების დაბრუნება და პეპ გვარდიოლას დანერგილი ბურთის უსაშველოდ გორების ტაქტიკისგან განთავისუფლება, თუმცა, არანაკლებ გასაოცარია ის მოუხსნელი რეკორდი, რომელიც „რეკორდმაისტერმა“ დაამყარა – ბავარიელებმა რჩეულთა ტურნირის ყველა შეხვედრა მოიგეს!

აღნიშნული გამარჯვება ბუნდესლიგის ფლაგმანი კლუბისათვის მეექვსეა (თერთმეტი ფინალიდან) და ამ მაჩვენებლით იგი „ლივერპულს“ გაუთანაბრდა. წინ მხოლოდ „რეალი“ (13) და „მილანი“ (7), არიან, ხოლო უკან ჯერჯერობით „ბარსელონა“ (5) დარჩა.

ქებას იმსახურებს ჩემპიონთა ლიგის 41-ე ფინ:ალისტი, თომას ტუხელის დამოძღვრილი ამბიციური „პარი სენ-ჟერმენიც“, რომელიც წარმატების შემთხვევაში ელიტური საზოგადოების 23-ე ლაურეატი გახდებოდა. სხვათა შორის, ამ გუნდების აქამდე გამართულ 9 მატჩში მინიმალურ უპირატესობას ფრანგები ფლობდნენ – 5:4, ასე რომ, ბალანსი გათანაბრდა.

რაც შეეხება უშუალოდ ბრძოლას, მის გმირად **კინგსლი კომანი** მოგვევლინა, რომელმაც, ბედის ირონიით, კარიერა სწორედ „პსჟ“-ში დაიწყო. მის აქტიურობას ზედ შესვენების წინ შეიძლებოდა მოჰყოლოდა პენალტი, მაგრამ საჯარიმოში კერერთან სადავო კონტაქტი იტალიელმა მსაჯმა დანიელე ორსატომ აუღელვებლად „გაატარა“.

კვანძი 59-ე წუთზე გაიხსნა, როცა კიმიხის ფლანგურ ჩაწოდებას კომანი ზუსტი თაურით გამოეხმაურა. სხვათა შორის, ლისაბონში გამართული სატიტულო მინიტურნირის წინა შეხვედრებში ფლიკი თავდასხმის ფლანგებზე აქამდე ხორვატ პერიშიჩს ენდობოდა და პირველად დააყენა ძირითად შემადგენლობაში კომანი. როგორც ვხედავთ, არც შემცდარა.

და კიდევ: 25-ე წუთზე მბაპესთან შეჯახების შემდეგ შესაცვლელი გახდა ბავარიული გრანდის დაცვის ბურჯი ბოატენგი, მაგრამ არც ამ ფაქტს მოუხდენია გავლენა თამაშის ხასიათზე – „ბაიერნმა“ მშვენივრად გაამართლა ფავორიტის სტატუსი და უპრობლემოდ მოახდინა მოსახდენი – 1:0.

ასევე მეექვსედ ავიდა ტახტზე ევროპა ლიგის ტრადიციული გვირგვინოსანი „სევილია“, რომელმაც კიოლნში მილანის „ინტერს“ 3:2 სძლია.

ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გმირობიდან ანტიგმირობამდე ერთი ნაბიჯია. კერძოდ, მას შემდეგ, რაც იტალიელთა ბელგიელმა ბომბარდირმა ლუკაკუმ თავისივე გამომუშავებული პენალტით გახსნა ანგარიში, პარტნიორთა დასახმარებლად უკან დაიხია და 75-ე წუთზე საკუთარ კარში გადამწყვეტი, თანაც საკმაოდ კურიოზული ავტოგოლი გაიტანა.

„ბაიერნი“ და „სევილია“ ევროპის სუპერთასისთვის ერთმანეთს 24 სექტემბერს ბუდაპეშტში შეხვდებიან.

დაბოლოს, გაგაცნობთ ქალთა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალების შედეგებს (ამ ბატალიებს ესპანეთის ბასკეთის ქალაქები სან სებასტიანი და ბილბაო მასპინძლობს): **„პარი სენ-ჟერმენი“ – „არსენალი“ 2:1, „ლიონი“ – „ბაიერნი“ 2:1, „ბარსელონა“ – „ატლეტიკო“ 1:0, „ვოლფსბურგი“ – „გლაზგო სიტი“ 9:1.**

ნახევარფინალურ პლეიოფში ერთმანეთს შეხვდებიან: **„პარი სენ-ჟერმენი“ – „ლიონი“** და **„ბარსელონა“ – „ვოლფსბურგი“.**

კობა კობახიძე

სანთელი

ილია მჭედლიშვილი



ვლადიმერ ბარქაია, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ოთარ გაბელია, ვახტანგ ქორიძე, თამაზ კოსტავა...

იშვიათად, რომ ქართული ფეხბურთის სხვადასხვა თაობის ასეთი თანავარსკვლავედი ნახო სადმე შეკრებილი. გუშინ სპორტის სასახლიდან სააკაძის მოედნისკენ მიმავალს სწორედ აღნიშნულ შესანიშნავ შვიდეულსა და უბერებელ ანზორ გაბიტაშვილთან მისალმების პატივი მხვდა წილად და რომ ვიკითხე, ხომ მშვიდობაა-მეთქი, ფრიად სამწუხარო პასუხი მივიღე: ჩვენი ილია მჭედლიშვილი გარდაიცვალა და პანაშვიდზე ავდივართო.

გული ჩამწყდა. მას ხომ, უპირველესად, მოყვასისადმი თანადგომის განსაკუთრებული უნარი და ყურადღების გამოჩენის მოჭარბებული ნიჭი გამოარჩევდა. ბუნებრივია, ბატონი ილიას ეს პიროვნული ღირსებები გაითვალისწინა დიდმა მაესტრომ ნოდარ ახალკაცმა, იმ სუსხიან 90-იან წლებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პროფკავშირის თავკაცობა რომ ანდო.

არც შემცდარა – ამ მოკრძალებულ, ამავე დროს პრინციპულ ადამიანთან და უაღრესად დახვეწილ ინტელიგენტთან ურთიერთობა ერთ სიამოვნებად ღირდა, რაშიც მთელი საფეხბურთო ოჯახი დამემოწმება. ჟურნალისტები ყოველთვის მადლიერებით ვიგონებთ თბილისის აეროპორტში მომხდარ შემთხვევას, როცა ქვეყნის ეროვნული ნაკრები ბულგარეთში შესარჩევ მატჩზე მიემგზავრებოდა. ის-ის იყო, რეგისტრაცია დასრულდა და ასაფრენ ზოლზე უნდა გავსულიყავით, რომ დელეგაციის ხელმძღვანელმა გადატვირთვის გამო ერთ-ერთი ჩვენი კოლეგის სამშობლოში დატოვება გადაწყვიტა და არჩევანი მაშინ საკმაოდ ტანწერწეტა სოლომონ გულისაშვილზე შეაჩერა.

როგორც კი პრეტენზია გამოვთქვით და სოლიდარობის ნიშნად დანარჩენებმაც უარი განვაცხადეთ სოფიაში გაფრენაზე, საქმეში ილია მჭედლიშვილი ჩაერია, ვაჟკაცურად დაამშვიდა ჭაბუკი კალმოსანი და მის ნაცვლად თვითონ ჩაიყენა თავი თამაშგარე მდგომარეობაში.

ასეთად გვემახსოვრება მუდამ ქართული ფეხბურთის რაინდი.

ნათელი და სანთელი, ბატონო ილია!

გიორგი შოთაძე

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პროფკავშირის ყოფილი თავმჯდომარე

ილია მჭედლიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

შვილდაღუპული დედა ნაირა კალანდია

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა **ნაირა კალანდია**.

ქალბატონს ამ სახელით და გვარით იცნობს ყველა, ვისაც თუნდაც მცირედი შეხება ჰქონია აფხაზეთის პრობლემატიკასთან, ვინც ამა თუ იმ მიზეზით ერთხელ მაინც დაინტერესებულა ქართველთა მიმართ განხორციელებული გენოციდისა თუ ეთნიკური წმენდის ფაქტებით.

ნაირა კალანდიას შემზარავი ისტორია, რომელიც მას სეპარატისტთა ბოევიკების გაუგონარი სისასტიკით თავს გადახდა აფხაზეთში, გაცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. ამბავი იმის თაობაზე, თუ როგორ აიყვანეს იგი სხვებთან ერთად ტყვედ, აწამეს, შემდგომ კი თვალწინ როგორ დაუხვრიტეს ერთადერთი ვაჟი და გადაყლაპეს მისი თვალი, თავად ქალბატონ ნაირას არაერთხელ მოუყოლია საქვეყნოდ...

მიუხედავად ნაირა კალანდიას თავსგადახდენილი უბედურებისა, ის წარმოუდგენლად მხნედ და იმედიანად მოუწოდებდა ყველას, მხრები არ ჩამოეშვათ, ყველაფერი ეღონათ აფხაზეთში დასაბრუნებლად, სამართლიანობის აღსადგენად, საქართველოს გასაერთიანებლად.

ნაირა კალანდია, როგორც აფხაზეთის ტრაგედიის სახე და ხატი, იყო ყველგან, სადაც კი აფხაზეთის თემა გაჟღერდებოდა, სადაც კი შვილდაღუპული დედები იდგნენ... მას არასოდეს ეტყობოდა დაღლა, დაქანცვა, შეგუება საკუთარ და ქვეყნის ტრაგედიასთან... მზრუნველობას არ აკლებდა გადარჩენილ შვილს, ზრდიდა შვილიშვილებს, ეფერებოდა და ამხნევებდა აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპულთა დედებს, ობლებს, არც შვილდაღუპულ აფხაზ დედებთან შეხვედრასა და შერიგებაზე ამბობდა უარს...

საოცრად გამხდარი, სიფრიფანა და ნატანჯი ქალბატონის სხეული, თითქოს, განგების ძალით იყო ასე ენერგიული; მაგრამ ეს მხოლოდ მისი უტეხი ბუნებისა და ჟინის გამოხატულება იყო. სინამდვილეში ქალბატონი ნაირა კალანდიას ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეიწირა არაადამიანურმა ისტორიამ, მისი და მისი შვილის, მთელი აფხაზეთის ტრაგედიამ, რომელიც დღემდე ღია ჭრილობად რჩება სრულიად საქართველოს სხეულზე. ამაოდ დაშვრა იგი და ვერ მოესწრო იმ დღეს, რომლისთვისაც მუხლჩაუხრელად ზრუნავდა.

მარადიული ხსოვნა მრავალჭირნახული ქართველი დედის — ნაირა კალანდიას ხსოვნას!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

სულთათანა



თამაზ პატარიძე

გამოჩენილი საზოგადო და სამეურნეო მოღვაწე, შესანიშნავი პიროვნება **თამაზ პატარიძე** 76 წლის ასაკში განერიდა წუთისოფელს... დიდი ტრადიციების მქონე ოჯახში აღზრდილმა, ადრიდანვე შეითვისა ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების, დიდსულოვნების სასიკეთო თვისებები.

სტუდენტობიდანვე შრომაში გამოიწრთო. მეტყველია მისი განვლილი ცხოვრებისეული გზა მიძღვნილი ქართული მსუბუქი მრეწველობის განვითარებისთვის. გამორჩეული იყო ყველგან რიგითი ინჟინრის, ფაბრიკების გენერალური დირექტორობით თუ მრეწველობის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობისას.

საქმისადმი თავდადებული მსახურება, პროფესიონალიზმი, პროფესიული პრინციპებისადმი უღალატობა, ეს იყო მისი მთავარი ცხოვრებისეული კრედო.

უჩუმრად სიკეთის კეთება იყო მისი მთავარი ცხოვრებისეული საზრისი, რითაც ის ყველასგან გამორჩეული იყო.

გამოთხოვებისას ჩვენ ისღა დაგვრჩენია, შევთხოვოთ უფალს, ნათელში აბრუნოს მისი სპეტაკი სული.

მეგობრები

რამაზ ხუროძე, მანანა ჩხარტიშვილი, თემურ ხუროძე ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ყველა ქართული ღირსებით შემკული პიროვნების, გამორჩეული საზოგადო და სამეურნეო მოღვაწის

თამაზ პატარიძის

გარდაცვალებას და დიდი გულისტკივილით სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მწუხარებით იუწყება, რომ აკადემიის ჟურნალისტს (მოამბე), რედაქციის გამგეს, ქალბატონ ლუდმილა გვერდწითელს გარდაეცვალა შვილი

მიხეილ გვერდწითელი

და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

რეზო ხარჩილავა, ზურაბ აბშილავა, შოთა გვასალია, თემურ წულეისკირი, ნუგზარ გვაზავა, ვახტანგ სიჭინავა, ოთარ ჭითანავა უსამძიმრებენ უახლოეს მეგობარს სოსო ხარებავას დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ქეთევან მანჯაფარაშვილის

გარდაცვალების გამო.

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს მარი და გაგა მთვარელიძეებს დედის

ნანა მიხეილის ასული ხმიადაშვილი-მთვარელიძის

გარდაცვალების გამო.

ბიძინა გიორგობიანი:

მთის მდინარეებზე წყლის ლიმიტების საუკეთესო რეგულირების საშუალება ჰესებია

გარემოს დაცვის **დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი ბიძინა გიორგობიანი** სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს, სადაც ის გახშირებული წყალდიდობებისა და მათი შესაძლო რეგულირების შესახებ წერს.

„კომერსანტი“ ბიძინა გიორგობიანის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

ვფიქრობ, კავკასიონის მთისპირეთში გახშირებული წყალდიდობების და ღვარცოფულ-მეწყრული მოვლენების გამომწვევი მიზეზებია:

1) კლიმატის ცვლილების შედეგად ტემპერატურის მატება და შესაბამისად მწვერვალებზე ყინულის დნობა.

2) ნალექების განაწილების დარღვევა და ჭარბი ნალექის კონცენტრაცია.

3) სეზონური, მაგრამ ღვარცოფული მდინარეების კალაპოტებში, შემაკავებელი დამბების არქონა.

4) მთის მდინარეებზე წყლის ნაკადების რეგულირების სისტემის არქონა.

მთის მდინარეებზე წყლის ლიმიტების საუკეთესო რეგულირების საშუალებაა ჰესები. მთის მდინარეებზე ჰესების ქსელები კარგადაა განვითარებული ევროპის მთიან ქვეყნებში. მაგალითად, შვეიცარიის ელენერგიის 52% შეადგენს განახლებადი ჰიდროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია. ასეა იტალიურ სამხრეთ ტიროლიში მდებარე ნაციონალურ პარკ Stilfserjoch მდებარე ჰიდროსადგურ ლაასის, ავსტრიის ტიროლის, გერმანიის ალპებსა და უფრო ჩრდილოეთში სკანდინავიის ქვეყნებშიც კარგად განვითარებული ჰიდროსადგურების ქსელია.

ქართულ სინამდვილეში ჰესებისადმი სამწუხაროდ უარყოფითი დამოკიდებულებაა დამკვიდრებული. ამ დამოკიდებულებას აქვს რამოდენიმე „საპატიო“ მიზეზი, კერძოდ;

1) გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) ზედაპირული შესრულება;.

2) ჰესების მშენებლობის დაბალი ხარისხი;

3) მშენებლობის შედეგად დაზიანებული ლანდშაფტის აღდგენის უგულებელყოფა;

4) ჰესების მშენებლობის შედეგად გამომუშავებული ენერგიის განაწილებასა და ტარიფებზე ანონიმურ „ინვესტორებთან“ დადებული გასაიდუმლოებული ხელშეკრულებები;

5) ადგილობრივ მოსახლეობასთან და დაინტერესებულ პირებთან არასათანადო განმარტებითი მუშობა, ასევე ინდივიდუალურ ზიანზე დაბალი კომპენსაცია ადგილობრივი მოსახლეობისადმი.

მთის მდინარეების წყლის მარაგების რეგულირება და სტიქიური წყალდიდობების მართვა, დამბების საშუალებით საუკეთესო საშუალებაა კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე. ამ მიზნით ჰესების ქსელის გონივრული დაგეგმვა და განვითრება კარგი გამოსავალი ჩანს.

დილეტანტურია მოსაზრება თითქოს წყალსაცავების მშენებლობის ბრალია ღვარცოფული მოვლენები (შეიძლება ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდეს, არასწორად დაგეგმილი და უკვე აშენებული ჰესის შეთხვევაში), პირიქით, სწორად დაგეგმილი დამბების სისტემით შესაძლებელია მდინარის ჩამონატანების მართვაც.

ნუკლეარული ენერგიის ალტერნატიული ენერგიების წყაროთაგან, წყლის ენერგია ჯერ-ჯერობით ისევ ლიდერობს (სულ უფრო მზარდია მზის ენერგიის წილი), რაც ჩვენ საკმარისი რაოდენობით გაგვაჩნია. ალბათ ასეთ საკითხებზე უნდა მიდიოდეს დებატები საარჩევნო პერიოდში და არა — ვის რამდენი „პერებეუჩიკი“ ჰყავს პარტიულ სიაში, ან ვინ როგორ ემზადება არჩევნების შემდგომი აქციებისათვის“, — წერს ფეისბუქ გვერდზე ბიძინა გიორგობიანი.

კათხა... წყალი

ბირმინჰემის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მეცნიერთა განცხბით, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე დალეული უბრალო წყალი გახდომას უწყობს ხელს.

12-კვირიანი ექსპერიმენტისას ჭარბწონიანი მოხალისეები ორ ჯგუფად დაჰყვეს, ერთის წევრები საკვების მიღებამდე 30 წუთით ადრე ნახევარ ლიტრ წყალს სვამდნენ. აღმოჩნდა, რომ ის მოხალისეები, ვინც საუზმემდე, სადილამდე და ვახშამამდე ნახევარი საათით ადრე წყალს სვამდნენ, 4,3 კილოგრამი დაიკლეს. მათ კი, ვინც ამ რეკომენდაციას არ ასრულებდა, მსგავს შედეგამდე ვერ მიაღწიეს.

ქეთა კალანდაძე გერმანული ენის მსოფლიო ოლიმპიადის გამარჯვებულია!

16 წლის ქეთა კალანდაძე, პირველი ექსპერიმენტული სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე გახდა (IDO 2020) გერმანული ენის მსოფლიო ოლიმპიადის გამარჯვებული. On-line კონკურსში, რომელიც დრეზდენში განლაგებულმა გოეთეს ინსტიტუტმა ჩაატარა, 60 ქვეყნის 120 ბავშვი მონაწილეობდა. ქეთამ ოლიმპიადაზე 1-წუთიანი კლიპი გააგზავნა, რომლითაც დამაჯერებლად გააცნო მსოფლიოს საქართველო.

ქეთა კალანდაძე: ჩემი „გერმანული ვოიაჟი“ მესამე კლასიდან დაიწყო და იმის მერე ასე მოვდივართ, მეც და ჩემი მეგობრებიც.

ყოველი ტესტი, პროექტი, გამოცდა თუ ოლიმპიადა ზეპირად მახსოვს. სულ გაყინული ხელებით შევდიოდი კლასში და წითელი ლოყებით გამოვდიოდი, მაგრამ გერმანული ენის ინტერნაციონალური (მსოფლიო) ოლიმპიადა სულ სხვა „ვნებათა ღელვა“ იყო! პირველ ადგილზე რომ დამასახელეს, მთელმა 9 წელმა 1 წამში გამირბინა თვალწინ და აი ამ დაუვიწყარი ცხრა წლისთვის მინდა გადაგიხადოთ მადლობა.

იმ დღეს ჩემი მეგობარი ელენე მეუბნებოდა, მასწავლებელი ზეიკო მურჯიკნელი ჩვენი „ჯეკპოტიაო“ და კი, ზუსტადაც, რომ ასეა... უთვალავი მადლობა თქვენ, ზეიკო მასწავლებელო!!!

რევაზ თოფურია

ხორას მონასტერი მეჩეთად გადააკეთეს



მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეს პირველი საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ, ქადაგებისას თურქეთის ხელისუფლების მიერ აია სოფიასა და ხორას მონასტრის მეჩეთად გადაკეთებას გამოეხმაურა. მსოფლიო პატრიარქის თქმით, ამ უძველესი ქრისტიანული ძეგლების მეჩეთად გადაკეთება მტკივნეული გადაწყვეტილებაა.

„სტამბოლში მდებარე ეს ორი უნიკალური ძეგლი, რომლებიც ქრისტიანულ ტაძრებად აშენდა, ასახავდნენ ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებას, მსოფლიო მხსნელის მშვენიერებას. გამოხატავენ ჩვენი რწმენის უნივერსალურ სულიერებას, სიყვარულსა და მარადისობის იმედს. ამ ტაძრების მოზაიკები და ხატები სულისთვის სამოთხის საკვებია და უსასრულო სიხარულია“, — თქვა მსოფლიო პატრიარქმა.

მილიარდერი... 15 წუთით

აშშ-ში, მასაჩუსეტსის შტატში მცხოვრები ბლეზ აგირე ბანკის შეცდომის გამო მოულოდნელად მილიარდერი გახდა.

აგირემ Bank of America-ში თავისი ანგარიში შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ 2,45 მილიარდ დოლარს ფლობს. ამის შემდეგ მან ანგარიშზე შესვლა კომპიუტერიდანაც სცადა, მაგრამ თანხა კვლავ მის ანგარიშზე ირიცხებოდა.

ბლეზ აგირემ იფიქრა, რომ ბანკის თანამშრომლები შეცდომას თვითონ აღმოაჩენდნენ, შემდეგ კი გადაწყვიტა, მომხდარის შესახებ მენეჯერს შეატყობინოს. ბანკის თანამშრომლებმა შეცდომა 15 წუთში გამოასწორეს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).



ლუკაშენკო ავტომატით ხელში

ბელარუსის მოქმედი პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო მინსკში თავის რეზიდენციასთან, დამოუკიდებლობის სასახლესთან ავტომატით ხელში გამოჩნდა. გავრცელებულ ვიდეომასალაში ჩანს, რეზიდენციის ტერიტორიაზე ჯავშანჟილეტით შემოსილი ლუკაშენკო ვერტმფრენით მიიყვანეს, შემდეგ კი დაცვის თანხლებით და ავტომატით ხელში შენობისკენ მიემართება.

ბელარუსის დედაქალაქ მინსკში მიმდინარეობს მრავალათასიანი საპროტესტო აქცია „მარში ახალი ბელარუსისთვის“.

ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ საპროტესტო მსვლელობაში, რომელიც თავს იყრის მინსკის ცენტრალურ ნაწილში, დამოუკიდებლობის მოედანზე, დაახლოებით 100 ათასზე მეტი ადამიანი იმყოფება. მომიტინგეები, რომელთაც ხელთ უპყრიათ ბელარუსის ძველი დროშა, წითელი და თეთრი ფერებით, სკანდირებენ „წადი!“

პროვოკაცია ბელარუსის წინააღმდეგ

ბელარუსის თავდაცვის სამინისტრო ლიეტუვის მხრიდან ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევის მცდელობის შესახებ იუწყება. აღნიშნულის თაობაზე ბელარუსის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „ბელტა“ წერს.

მათი ცნობით, „23 აგვისტოს ბელარუსის სამხედრო საჰაერო და ანტისაჰაერო თავდაცვის ძალებმა ლიეტუვის რესპუბლიკის მხრიდან განხორციელებული პროვოკაცია აღკვეთეს“.

„კონკრეტული ტერიტორიიდან გაუშვეს ზონდი, რომელიც რვა საჰაერო ბურთისგან შედგებოდა და რომელზეც ანტისახელმწიფოებრივი სიმბოლიკა იყო აღბეჭდილი. „მი-24“ ტიპის ვერტმფრენების ეკიპაჟის ქმედებების შედეგად, საჰარეო ბურთების გადაადგილება, ცეცხლის გახსნის გარეშე აღიკვეთა“, — ნათქვამია ინფორმაციაში. ამავე ინფორმაციის მიხედვით, „ბელარუსის თავდაცვის სამინისტროში გადაიგზავნა მომხდარის ამსახველი მასალები, რომელთა საფუძველზეც ლიეტუვის მხარისთვის წარსადგენი საპროტესტო ნოტა მომზადდება“.

ტრამპი პორნოვარსკვლავს ფულს უხდის

კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს პორნომსახიობ სტეფანი კლიფორდისთვის 44 100 დოლარის გადახდა დააკისრა. ტელეკომპანია CNN-ის ცნობით, ეს თანხა კლიფორდის მიერ ადვოკატებზე დახარჯული სახსრების კომპენსაციას წარმოადგენს.

2018 წლის 17 მარტს დონალდ ტრამპის ადვოკატმა მაიკლ კოენმა პორნომსახიობ სტეფანი კლიფორდს სასამართლოში უჩივლა. სარჩელში ნათქვამი იყო, რომ ქალმა ტრამპთან ურთიერთობა, გაუხმაურებლობაზე შეთანხმების მიუხედავად, გაასაჯაროვა. 13 მარტს სტეფანი კლიფორდმა განაცხადა, რომ ის მზად არის დონალდ ტრამპს 130 ათასი დოლარი დაუბრუნოს, რაც დუმილის სანაცვლოდ მიიღო. 8 მარტს ტრამპმა პორნოვარსკვლავთან სასამართლო საქმე მოიგო.

კლიფორდის მტკიცებით, მას ტრამპთან სექსი 2006 წელს ჰქონდა, გოლფის ტურნირის დროს, რომელზეც ქალი სტუმრის სტატუსით დაპატიჟეს, ამ დროს კი მელანია ტრამპი ხუთი თვის ორსული იყო. 10 წლის შემდეგ, კლიფორდმა გადაწყვიტა, ამ ამბის შესახებ პრესისთვის მოეყოლა და ჟურნალისტებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. ტრამპის ადვოკატმა მას დუმილისთვის ფული გადაუხადა. კლიფორდთან შეთანხმების დადების ფაქტი მაიკლ კოენმაც აღიარა, თუმცა განაცხადა, რომ ეს არა ტრამპის, არამედ მისი სხვა კლიენტის, დევიდ დენისონის სახელით დადო. სტეფანი კლიფორდი აცხადებს, რომ ეს რეალურად დონალდ ტრამპის ფსევდონიმი იყო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 27 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0737; ევრო - 3.6257;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0388;
100 რუბლი - 4.1282; თურქული ლირა - 0.4247;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8082;
1000 სომხური დრამი - 6.3326.

ამინდი 25 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +24
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +30
თბილისი: ღამე +16, დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge